




ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice



# არასრულწლოვანთა დანაშულის მეორე დონის პრევენცია - არსებული საჭიროებებისა და მომსახურებების შესაბამისობა

კვლევის ანგარიში



2020

თბილისი

წინამდებარე ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

---

## კვლევითი ჯგუფი

რუსუდან ბადრიაშვილი  
ლიკა ქუთელია  
ანი ასლანიშვილი  
გიორგი ფირცხალაიშვილი  
ვახტანგ ქანთარია  
ანა ლალიძე  
ქეთევან ფილაური

შინაარსი

რეზიუმე ..... 4

შესავალი ..... 5

კვლევის მიზანი და ამოცანები..... 6

კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები ..... 6

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა საჭიროებები ..... 6

ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების შესწავლა ..... 14

ხელმისაწვდომი მომსახურებები თბილისსა და რეგიონებში ..... 22

შეჯამება ..... 24

რეკომენდაციები ..... 26

ბიბლიოგრაფია ..... 28

არასრულწლოვანთა დანაშაულის მეორე დონის პრევენცია  
არსებული საჭიროებების და მომსახურებების შესაბამისობის შესწავლა

რეზიუმე

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა საჭიროებების და მათი სოციალური გარემოს კვლევა ცხადყოფს, რომ ბავშვზე და მის გარემოზე დაკვირვება და რისკ-ფაქტორების გაანალიზება, შესაძლებელს ხდის დროულად მოხდეს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკების გამოვლენა. გარკვეული ფაქტორები, როგორც ინდივიდურ, ასევე ოჯახის და სოციალურ დონეზე, პრედიქტორულ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენენ და მათზე კომპლექსური ზემოქმედებით, შესაძლებელია ბავშვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა. ამ ფაქტორების ადრეული იდენტიფიკაცია და პრევენცია, მოზარდის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის საუკეთესო მექანიზმს წარმოადგენს.

წინამდებარე კვლევით დგინდება, რომ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები და დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე მოზარდები, მეტწილად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამო ავლენენ დელიქვანტურ ქცევას, არ შეესაბამება სინამდვილეს. შემთხვევათა უმრავლესობაში დანაშაულის ჩადენის რისკ ფაქტორი არა მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობა, არამედ მის ოჯახში და სოციალურ გარემოში არსებული პრობლემებია.

კვლევის მონაწილე, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული, იძულებით გადაადგილებული და ზოგადი პოპულაციის მოზარდების, ემოციური და ქცევითი სირთულეების ანალიზით ადასტურებს, რომ მათი საჭიროებები (მიუხედავად მცირე განსხვავებებისა), თითქმის ერთნაირია და მათი უმეტესობა (70%) არ საჭიროებს სპეციალიზებულ მომსახურებას. მოზარდების ამ ჯგუფისთვის მიზანმიმართული პრევენციული ღონისძიებები ოჯახისა და სკოლის დონეზე, საკმარისი პირობაა სირთულეებთან გასამკლავებლად.

**კვლევის მონაცემების მიხედვით, მოზარდთა 15-38% ემოციური და ქცევითი სირთულეების გამო საჭიროებს მიზნობრივი, პრევენციული მომსახურების დანერგვასა და მეთვალყურეობას; შედარებით მცირე ნაწილი კი 7-30%, გამოხატული ემოციური და ქცევითი სირთულეებით, სპეციალიზირებულ, პროფესიულ მომსახურებას საჭიროებს.**

მოზარდთა საჭიროებების და ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მომსახურების სფეროების რაოდენობრივმა და შინაარსობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებული სერვისები, მეტწილად მხოლოდ მოზარდზე მიმართული (ინდივიდუური ან/და ჯგუფური კონსულტირება, ფსიქოთერაპია, ემოციური რეგულაციის ტრენინგი, ბრაზის მართვა და სხვა) და ხშირად არ ითვალისწინებს მოზარდის გარემოსა და სოციალურ გარემოში არსებულ გამოწვევებს; აღსანიშნავია, რომ სერვისები არ არის მრავალფეროვანი და ყველაასათვის ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით პატარა ქალაქებსა და სოფლებში.

## შესავალი

2016 წლიდან საქართველოში ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. კოდექსის მთავარი ფუნდამენტი ბავშვის უფლებებია და ის პატიმრობას სასჯელის უკიდურეს ფორმად განიხილავს. საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელია. კოდექსი ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინების პრინციპზეა დაფუძნებული და მისი ამოცანაა არ შეაფერხოს ბავშვის განვითარება, ხელი შეუწყოს მის კეთილდღეობას, რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შედეგს წარმოადგენს პრევენციული, ბავშვზე ორიენტირებული და ინდივიდური მიდგომების დანერგვა, სადაც მთავარი აქცენტი კეთდება რეაბილიტაციაზე, სოციალიზაციაზე და სასჯელის ალტერნატიული ზომების გამოყენებაზე. ახალი მიდგომა ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მეტად უზრუნველყოფს მის ჩართულობას პროცესში.

**გატარებული რეფორმის მიუხედავად, პრევენციული და ინტერვენციული მომსახურებები ჯერ კიდევ მწირია და ბოლომდე ვერ პასუხობს დანაშაულის რისკის ჩადენის მქონე სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებებს.** ამ თვასაზრისით განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ არ არსებობს ფსიქიკური ჯანმრთელობის, ოჯახის დამხმარე ან დამატებითი საგანმანათლებლო ან/და სხვა ტიპის სერვისები, რომელიც მიმართული იქნება სარისკო ქცევების ადრეულ იდენტიფიკაციაზე, ინტერვენციაზე და დანაშაულის რისკების შემცირებაზე.

მოზარდობის ასაკი ტურბულენტური, მრავალფეროვანი და რთული ცვლილებების პერიოდია, რომელიც განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის მოზარდს გარემო ფაქტორების მიმართ. კვლევები ადასტურებს, რომ ქვეყნის ლატენტურ დანაშაულთა შორის დიდი წილი არასრულწლოვნებზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდები ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 16-18 პროცენტს შეადგენენ. არასრულწლოვანთა დანაშაული მისი ასაკობრივი მახასიათებლების, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო, ნებისმიერი ტიპის საზოგადოების ნორმალურ გამოვლინებააა მიჩნეული, ანუ თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს კანონის ნორმა დარღვეული. შესაბამისად, საზოგადოებისათვის პრობლემას წარმოადგენენ არა არასრულწლოვანი დამნაშავეები, არამედ არასრულწლოვნები, რომლებიც ქრონიკულად იმეორებენ დანაშაულს - “chronic offender”, რომელთა მიმართ სახელმწიფომ მოქნილი პრევენციული ღონისძიებები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს.<sup>1</sup>

ის, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ნორმალურ მოვლენააა მიჩნეული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის იმის ცოდნას, თუ რა განაპირობებს დანაშაულის მრავალჯერად განმეორებას. საინტერესოა, რა კონკრეტული რისკ ფაქტორები ზემოქმედებს მასზე და როგორ უნდა მოხდეს დანაშაულის რეციდივის პრევენცია. მოზარდის დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევი მიზეზი, ხშირად ინდივიდურ თავისებურებებთან ერთად, მისი სოციალური მდგომარეობით და ამ გარემოში არსებული რისკ ფაქტორებით არის განპირობებული<sup>2</sup>.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით რეგულირდება, ბევრი უწყების მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს. გამომდინარე იქედან, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედება მრავალი ფაქტორის ურთიერთგავლენის შედეგია, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, არა ერთი რომელიმე უწყების, არამედ ყველა იმ ინსტიტუტის პასუხისმგებლობაა, რომელთანაც ბავშვს აქვს შეხება. ეს კი შესაძლებელს ხდის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება შეთანხმებულად და რესურსების რაციონალური გადანაწილებით მოხდეს. **რომელიმე ერთ კონკრეტულ უწყებაზე მთელი სიმძიმის გადატანა უახლოეს პრესექტივაში მის გადატვირთვას და არაეფექტიან მუშაობას გამოიწვევს.** შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა კი, ახალი საკანონმდებლო ნორმების შექმნას და შედეგზე ორიენტირებული პრევენციის დაგეგმვას შეუწყობს ხელს.

**ამასთანავე, აუცილებელია ქვეყანაში არსებული პრევენციის პრაქტიკა მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე იცვლებოდეს,** ანუ ზედმიწევნით ზუსტად უნდა განისაზღვროს რამდენად პასუხობს საჭიროებებს არსებული ინტერვენციები/ მომსახურება და რამდენად აღწევს დასახულ მიზანს.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია დაადგინოს რამდენად შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამები, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ, სხვადასხვა ჯგუფის მოზარდთა საჭიროებებს.

### კვლევის ამოცანები

**ამოცანა # 1** - მნიშვნელოვანია კვლევით დადგინდეს, საქართველოში კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან პიროვნული განვითარების და სოციალური კონტექსტის რომელი (რა) მახასიათებლები/ფაქტორები გვხვდება ყველაზე ხშირად და რომელი მათგანი შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის პრედიქტორულ ფაქტორად;

**ამოცანა # 2** - კვლევის ამოცანაა, გამოვლინდეს, რა განმასხვავებელი ან საერთო ნიშნებია მოზარდთა შემდეგ ჯგუფებში: ზოგადი პოპულაცია, იძულებით გადაადგილებული მოზარდები, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე მოზარდები. როგორია მათი ემოციური, ქცევითი და სოციალური განვითარების მაჩვენებლები, რა სირთულეებს აწყდებიან ისინი სხვადასხვა ასაკში; ასევე მნიშვნელოვანია კვლევის შედეგად დადგინდეს, გამოკვეთილი სირთულეები მოზარდობის ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შედეგია თუ მათი სოციალური სტატუსითაა განპირობებული.

**ამოცანა # 3** - რამდენად პასუხობს ქვეყანაში არსებული რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისები, კვლევაში ჩართულ მოზარდთა ინდივიდურ თუ სოციალურ საჭიროებებს.

### კვლევის სამიზნე გუფები

- ▶ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე მოზარდები და ახალგაზრდები (14 დან 21 წლამდე)
- ▶ იძულებით გადაადგილებული პირები (14 დან 18 წლამდე)
- ▶ ზოგადი პოპულაცია, მოზარდები (14 დან - 18 წლამდე)

### კვლევის ეთიკა

კვლევა ჩატარებულია ეთიკური პრინციპების სრული დაცვით; წერილობითი, ინფორმირებული თანხმობის საშუალებით, კვლევის მონაწილეები ინფორმირებული არიან კვლევის მიზნების, ამოცანების, ნებაყოფლობითი მონაწილეობისა და კონფიდენციალობის შესახებ. მონაცემები არ შეიცვას ინფორმაციას, რომლითაც შესაძლებელი პირის იდენტიფიკაცია, ინახება დაცულ ადგილას და ხელმისწავდომია მხოლოდ მკვლევართათვის. შესაძლო ემოციური დისკომფორტის ან ზიანის თავიდან აცილების მიზნით, კვლევა ჩატარებულია წინასწარ გადამზადებული ინტერვიუების მიერ, რომლებიც ფლობენ ფსიქოლოგიური პირველადი დახმარების უნარებს.

## კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

### განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა საჭიროებები

#### მოზარდებისა და ახალგაზრდების საჭიროებების ინდივიდურ, ოჯახისა და სოციალურ დონეზე შესწავლის შედეგები :

კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა დაადგინდეს რა კონკრეტული საჭიროებების წინაშე დგანან განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე მოზარდები, რისთვისაც კვლევითმა ჯგუფმა გამოიყენა თვისებრივი კვლევის (შემთხვევების ანალიზის) მეთოდი. კონკრეტულად კი, დანაშაულის რეციდივთან დაკავშირებული (ინდივიდური, ოჯახის, სოციალური) ფაქტორების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულ იქნა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე არასრულწლოვანთა პროფილები.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში (2019 წლიდან) პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული (14-21 წლის) არასრულწლოვნები. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სულ 100 არასრულწლოვნის ისტორია შეირჩა. მიღებული მონაცემები დამუშავდა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით.

1 - შადიკაშვილი მოხის, მიქანაძე გივი, ახასხუწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფხაიბუხი, სტრასბურგი, მეხილიანი, 2016.

2 - გოძიაშვილი ი., ახასხუწლოვანთა დანაშაულების დეგეხმინაცია, 1998; გვ. 189-190 იხ. აგხეთვე ღღონტი გ. (იქედ.), 2008, გვ. 292.

**რაოდენობრივი კომპონენტის** ფარგლებში მონაცემების დასამუშავებლად კვლევითმა გუნდმა შეიმუშავა კატეგორიების ჩამონათვალი, რომელის მიხედვითაც მოხდა რისკ ფაქტორების არსებობა-არარსებობის შეფასება: დანაშაულის ტიპი; საჭიროებები/რისკები, როგორც ინდივიდურ, ასევე ოჯახის და სოციალურ (თანატოლები, თემი) დონეზე. თითოეული ქეისიდან/ისტორიიდან, რომელიც პირველწყაროს წარმოადგენდა, ხდებოდა საჭირო მონაცემების ამოკრეფა და განთავსება შესაბამის კატეგორიებში. მიღებული მონაცემები რაოდენობრივად დამუშავდა SPSS სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, რის შედეგადაც, მკვლევარებმა რაოდენობრივად აღწერეს მონაწილეების დემოგრაფიული მახასიათებლები და დანაშაულის რეციდივთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტორები:

1. მოზარდის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. საგანმანათლებლო ისტორია
3. ოჯახი;
4. დანაშაულის ისტორია;
5. სოციალური გარემოცვა.

კროსტაბულაციის ცხრილების გამოყენებით კვლევითმა ჯგუფმა შეისწავლა სხვადასხვა ფაქტორებს შორის სტატისტიკური მიმართება.

**მონაცემების თვისებრივი ანალიზის საფუძველზე**, მკვლევარებმა ასევე აღწერეს სამიზნე ჯგუფის ძირითადი მახასიათებლები, კერძოდ კი, ინდივიდურ, ოჯახის და სოციალურ დონეზე გამოკვეთილი საჭიროებები და დამცავი ფაქტორები, მათი ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა თითოეული მახასიათებლის წვლილი კანონსაწინააღმდეგო ქცევაში ან განმეორებითი დანაშაულის პრევენციაში.

**კვლევის შედეგები:**

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია რამდენიმე მიმართულებით, პირველ რიგში განვიხილავთ შემთხვევების ანალიზის საფუძველზე, კვლევაში ჩართული არასრულწლოვნების დემოგრაფიულ პროფილს და ასევე, დანაშაულებრივი ქმედების ტიპებს, ხოლო შემდეგ, შევეცდებით გამოვკვეთოთ, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე არასრულწლოვნების საჭიროებები - ინდივიდურ, ოჯახის და სოციალურ დონეზე.

**დემოგრაფიული მონაცემები:**

1. კვლევაში მონაწილეთა საშუალო ასაკი 17 წელია (M=17 Std.=1.99). შემთხვევათა უმეტესობა 18 წლამდე ასაკის (სასკოლო ასაკის) არასრულწლოვანია, სულ - 72; ხოლო უმცირესობას 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდები წარმოადგენენ (სკოლის ასაკის ზევით) - 28 პირი. ყველაზე უფროსი ასაკის რესპონდენტი 20 წლისაა, ყველაზე ახალგაზრდა - 14 წლის. (max 14, min 20. Mode=15);
2. 100 შემთხვევიდან 81 მამრობითი სქესის პირია, ხოლო 19 მდედრობითი;

რაც შეეხება **დანაშაულებრივი ქცევის ისტორიას**, ორივე ასაკობრივი ჯგუფისთვის წამყვანი დანაშაულის ტიპია - ქურდობა. სკოლის ასაკის ზევით, 18-21 წლის ახალგაზრდებში, მეტია ძალადობრივი დანაშაული (25%), ხოლო სკოლის ასაკის მოზარდებში (18 წლამდე), უფროს ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით, უფრო მეტად ფიქსირდება საკუთრების დაზიანება (2.8 %).

საინტერესოა **დანაშაულის ჩადენის ფორმების ანალიზიც** - ჯგუფურად თუ ინდივიდურად ჩადენილი დანაშაულების მონაცემები შემდეგ სურათს გვაჩვენებს: ჯგუფურად აქვს ჩადენილი დანაშაული მდედრობითი სქესის მონაწილეების 39%-ს, ხოლო მამრობითი სქესის მონაწილეებში - 42%-ს. შემთხვევათა უმრავლესობა (61% ბიჭებში და 58% გოგონებში) აღწერს ინდივიდურ დანაშაულს.

**ინდივიდური რისკ-ფაქტორები**

კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს **ინდივიდურ დონეზე**, მათ შორისაა ემოციურ და ქცევით სირთულეებთან დაკავშირებული საკითხები; სოციალური უნარების დეფიციტი; სწავლის მოტივაცია; მოზარდთა ფასეულობები და დანაშაულისადმი დამოკიდებულება; ძალადობის გამოცდილება; ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება.

**ემოციური და ქცევითი სირთულეები:** როგორც კვლევამ აჩვენა **ემოციების რეგულაციის სირთულე** წარმოადგენს ერთ-ერთ პრედიქტორულ ფაქტორს მოზარდებში დანაშაულებრივი ქცევის განხორციელებისათვის: ბრაზი, დანაშაულის

გრძნობა, სირცხვილი და ა. შ.

არასრულწლოვნების შემთხვევებში ემოციური სფეროს სირთულეები მეტწილად ვლინდება ქურდობის, საკუთრების დაზიანების, ძარცვისა და ძალადობრივი სახის დანაშაულებრივ ქცევებთან ერთად. საინტერესოა იმ შემთხვევების მიმოხილვა, სადაც ქურდობის ტიპის დანაშაული იქნა ჩადენილი (ჯგუფურად და/ან ინდივიდურად) და პარალელურად გამოვლინდა ემოციური სირთულეებიც, მაგალითად:**ემოციური გასადავება (აპათია):**

*„დანაშაულზე საუბრის დროს ახ გამოუხატავს სინანული, წყენა, თანაგანცდა დაზარალებულისა თუ საკუთარი თავის, ან ოჯახის წევრის მიმართ. იკვეთება ემოციების გასადავება.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან)*

**ადვილად გაღიზიანებადობა:**

*„ბოლო წელი უჭიხს ემოციების მაჩთვა, მაჩვივად ღიზიანდება, კაჩგავს კონტროლს, ხდება აგხესიუდი, იწყებს ყვირილს და გახბის სახეიდან“; (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან)*

**ბრაზის მართვის სირთულე :**

*„ბრაზს გამოხატავს სხვადასხვა ნივთის გატეხვით“; „მოზარდი ბრაზს ძიხითადაც ხმამალადი საუბრით გამოხატავს, ასევე ოჩეხი ჰქონდა შემთხვევა, ხოდესაც ედესთან უთანხმოების გამო, მან დატოვა საცხოვრებელი სახედი და დაჩრა მეგობართან“.* (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან)

**შფოთვა და შიში:**

*„ახასიათებს შფოთვა და შიშები სხვადასხვა მოვლენის მიმართ“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან)*

**იმპულსურობა:**

*„მასწავლებელმა ეხთ დღესაც სხუდიად დაუმსახულებდაც ჟუხნადში ოხი ოხიანი დაუწეხა, ხის გამოც ძადიან გაბრაზდა. პხოტესტის ნიშნად სხუდიად გაუაზხებდაც და დაუგეგმავად, ... გაკვეთილის მსვდელობის პხოტესტში აილო საკდასო ჟუხნადი და გაანადგუხა“.* (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან)

კვლევის ანალიზი ასევე ცხადყოფს კავშირს ემოციურ სირთულეებსა და ძალადობრივი ტიპის დანაშაულს შორის, ასე, მაგალითად: ძალადობრივი ტიპის დანაშაული უმეტესად ვლინდება კონფლიქტური სიტუაციის პირობებში და დაკავშირებულია სიბრაზის რეგულაციის სირთულესთან:

*„განსარიდებელი ამბობს, რომ უჭირს ემოციის და ქცევის კონტროლი, როდესაც აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. განსარიდებულმა გაიხსენა ფაქტი წარსულიდან, როდესაც გაბრაზებულმა გატეხა ტელეფონი“.*

*„იგი ადვილად ღიზიანდება და აღნიშნულს გამოხატავს ქცევაში. განსარიდებელი საუბრის დროს პრობლემის გადაჭრის მეთოდად პერიოდულად ფიზიკურ ძალადობას ასახელებს“.*(ამონარიდი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან)

**სოციალური და სტრესთან გამკლავების უნარების დეფიციტი:** როგორც კვლევის ფარგლებში განხილული შემთხვევების ანალიზი აჩვენებს, გარკვეული ტიპის, კერძოდ კი **ასერტული კომუნიკაციის უნარის დეფიციტი** კავშირშია მოზარდთა დანაშაულებრივ ქცევასთან.

შემთხვევათა ერთ ნაწილში, კერძოდ კი ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის (ქურდობის) დროს, ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია ასერტული უნარების სიმწირე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოზარდი **იოლად ექცევა სხვა პირების (თანატოლების) დევიაციური ზეგავლენის ქვეშ:**

*„განსახილებელი იჩუშუნება, ხომ მან წინასწაჩ აჩ იცოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, აჩამედ გაყვა მეგობაჩს და მხოლოდ ადგილზე მისუდმა შეიტყო, ხომ მეგობაჩი მაჩთდსაწინააღმდეგო ქმედებაში თხოვდა დახმარებას. ----- საკუთაჩ თავს ადანაშაულებს, ჩადგან ვეჩ შეძლო მისთვის უაჩის თქმა, მას აჩ უფიქია წინასწაჩ შესაძლო შედეგებზე“.* (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან)

შემთხვევების ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ მოზარდები, რომლებიც გარკვეული სახის დანაშაულებრივ ქმედებას ჩადიან გამოირჩევიან რთულ და სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების უნარების დეფიციტითაც. ზოგჯერ მათი დანაშაულებრივი ქცევა სტრესთან გამკლავების დეზადაპტაციური საშუალებაა. დანაშაულებრივი ქცევა მძაფრი ემოციების პროვოცირების გზით სიმშვიდის მოპოვების ერთგვარი მცდელობაა. ასეთი დეზადაპტაციური ფორმებიდან წამყვანი აღმოჩნდა სხეულის განზრახ თვითდაზიანება, როგორც „გამკლავების სტრატეგია“:

*„აჩასხუდწლოვნის მზხუწვედი პიხის მიეჩ მოწოდებელი ინფოხმაციით აჩასხუდწლოვანი მძაფაჟად აღიქვამს ნეგატივი შემთხვევებს, აჩის ემოციუხი, მისთვის მტკივნეულია ნებისმიეხი სახის ბაჩიეხი, სიხთუდუ უხთიეხთობებში და მიმაჩთავს თვითდაზიანებებს.“* (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან)

„ახასხუდწლოვნის გადმოცემით, ოხი წლის წინ დაშოხდა შეყვავებულს, ხა დხოსაც სცადა ვენების გადაჭხა“. (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

**სწავლის მოტივაცია და განათლების საკითხები:** კვლევის შედეგების მიხედვით, შემთხვევათა დიდ ნაწილში, სკოლასთან და ზოგადად განათლების მიღებასთან დაკავშირებით, გამოკვეთილია შემდეგი სახის პრობლემები: სწავლის მოტივაციის ნაკლებობა; სკოლის ხშირი გაცდენა; დაბალი აკადემიური მოსწრება; კლასში ჩარჩენის გამოცდილება; საგანმანათლებლო დაწესებულების ხშირი ცვლა; სასწავლო პროცესის წყვეტა:

„მოზახდის თქმით, ახ აქვს სწავლის მიმახთ ინტეხესი, ხის გამოც ჰქონდა ხშირი გაცდენები სკოლაში გასუდ წედს, შემდგომ კი ახ გამოცხადდა ექსტეხინ გამოცდებზე, ხის გამოც მიმდინახე წედსაც იხიცხება მე-9 კლასში.“

„... 5-ჯეხ აქვს საგანმანათლებლო დაწესებულება შეცვლიდი. ოჯახის მიეხ მოწოდებული ინფოხმაცით, იხკვევა, ხომ აღნიშნუდის მიზეზი საცხოვრებელი ადგიდის ცვლილება და .... სასწავლო პროცესის მიმახთ ინტეხესის დაკახჯვა იყო“. (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

არის შემთხვევა, როდესაც მოზარდი სწავლისადმი ინტერესის დაკარგვის მიზეზად კომპიუტერულ თამაშებში გადაჭარბებულ ჩართულობას ასახელებს:

„განსახიდებდის გადმოცემით, მან დაკახჯა სწავლის მოტივაცია მაშინ, ხოდესაც გაუჩნდა ინტეხესი კომპიუტეხური თამაშების მიმახთ. ამბობს, ხომ ყოვედღიუხად თამაშობს აღნიშნუდს, ასევე ხშირად თამაშობს გვიან ღამემდეც, ხის გამოც, უჭიხს დიდი თ ადეხ გავიძება.“ (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

კვლევის მონაცემების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ მოზარდებს არ ჰქონდათ სწავლასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ასევე პრობლემას წარმოადგენდა ბევრი, არასტრუქტურირებული, თავისუფალი დრო, რაც ცხადია დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ.

**მოზარდთა ფასეულობები და დანაშაულისადმი დამოკიდებულება:** კვლევის მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა ისეთი მნიშვნელოვანი ინდივიდური ფაქტორი, როგორცაა მოზარდის ფასეულობათა სისტემის კავშირი დანაშაულებრივ ქცევასთან. როგორც იკვეთება, კვლევის მონაწილეთა გარკვეული ჯგუფი გამოირჩევა კრიმინალური ცხოვრებისადმი ტოლერანტობით, დანაშაულებრივი ქმედებების და კრიმინალური ცხოვრების წესის მაღალი მიძღებლობით და დამკვიდრებული სოციალური ნორმების უგულებელყოფით.

„დედის გადმოცემით სუხს ქუხეღობა, კხიმიდალუხი ცხოვრება; მისი დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, დამკვიდრებული ნოხმებისა და ღიხებუდებებისადმი უახყოფითია; უახყოფითადაა განწობიდი სამახთადამცავი ოხგანოების წახმომადგენელთა მიმახთ. ახასხუდწლოვანი დადებით განწობას ავდენს დედიქვენტუხი მეგობრებისა და მათი ქცევისადმი“.

„აღნიშნავს, ხომ მისთვის ნასამახთღობა ახ წახმომადგენს პიობდემას; მისი გადმოცემით, უჩრენია მოიხადღოს პიობითი სასჯელი, ვიდეხ შეასხუღოს მოხადისეობრივი საშუაო; მისი გადმოცემით, ქუხეღობა თანხის ავდიად, შიომის გახეშე მოპოვების საშუალება იყო.“ (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ისეთი მახასიათებლის განხილვაც, როცა მოზარდი საკუთარი დანაშაულისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს, რაც ცხადია მის ფასეულობათა სისტემასთანაცაა კავშირში და ასევე დანაშაულის რეციდივის რისკ-ფაქტორსაც წარმოადგენს.

შემთხვევათა დიდი ნაწილში ვლინდება მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერების სირთულე. არის შემთხვევები, როდესაც მოზარდები დანაშაულებრივი ქცევით მიღებულ ზიანად ასახელებენ განრიდების პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, უჭირთ დამნაშავის პოზიციიდან ზიანის გააზრება (მით უფრო, მაშინ როდესაც დაზარალებული მხარისთვის მატერიალური სახის ზიანი აუნაზღაურებიათ).

„იგი გამოხატავს სინანულს, თუმცა უჭიხს განსაზღვრღოს მისი და ოჯახის გახდა ვის მიაცენა მატეხიდალუხი და ემოციუხი ზიანი.“ (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან).

**ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება:** კვლევის ფარგლებში ცალკე კლასტერად გამოიყო მოზარდთა მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება. შედეგების ანალიზმა ცხადჰყო, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდები ხშირად მოიხმარენ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, როგორც სტრესულ მოვლენასთან დეზადაპტაციური გამკლავების, მოწყენილობის დათრგუნვის და გუნება-განწყობის გაუმჯობესების საშუალებას. საგულისხმოა, რომ ინდივიდურ დონეზე გამოვლენილი ეს რისკ- ფაქტორი შეიძლება ამავდროულად მიუთითებდეს მოზარდის გარემოში არსებულ სირთულეებზეც, რაც ძალიან კარგად ჩანს მათი შემთხვევების განხილვისას:

„ახასხუდწლოვნის გადმოცემით, მეგობრებთან ეხთად სტეხესის დიოს ან განტვიხთვის მიზნით იღებს ხოდმე ღვინოს ან ახაყს“.

„წახსუდში ოჯახის წევრებთან უხითეხთობის სიხთუდების გამო ჰქონდა ჭახბი ხაოდენობით მედიკამენტების მოხმარების გამოცდილება“. (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

კვლევა აჩვენებს, რომ მოზარდები ძირითადად მოიხმარენ შემდეგ ფსიქოაქტიურ საშუალებებს: თამბაქო, ალკოჰოლი

(ღვინო, ლუდი, არაყი) და მარიხუანა. ამავდროულად, ისინი არ არიან ინფორმირებულები მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ. მათი შემთხვევების ანალიზისას ასევე იკვეთება, წარკოტიკული საშუალებების, მაგალითად, მარიხუანას მოხმარება ცნობისმოყვარეობის, „გასინჯვის“ მიზნით.

„მოზახდს ახ აქვს სხუდყოფიდი ინფოხმაცია ნახკოტიკუდი ნივთიეხების მოხმარების ხისკებისა და საფხთხეების შესახებ“. (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

ზოგიერთ შემთხვევაში, მოზარდი არ ასახელებს მოხმარების გამოცდილებას, თუმცა მშობლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ისინი გამოთქვამენ ვარაუდს მოზარდის მიერ ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების შესახებ:

„მშობელი აღნიშნავს, ხომ აქვს ეჭვი ... ნივთიეხების მოხმარების შესახებ, ხადგან ხოდესაც გახთობის მიზნით ახასხუდწლოვანი მეგობრებთან ეხთად წასუდა, იგი სახდში დაბხუნების შემდეგ ახ ყოფიდა ბუნებრივ მდგომარეობაში“.

„დედის გადმოცემით, .. ახის თამბაქოს მოხმარებელი, ასევე აქვს ეჭვი, ხომ ზოგჯეხ მოიხმარღს მახიხუანასაც.“ (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

არის შემთხვევები, როდესაც მოზარდები დანაშაულებრივი ქცევის განხორციელების პროცესში იყვნენ ალკოჰოლური თრობის ქვეშ და აღნიშნავენ, რომ უჭირდათ სიტუაციის ადეკვატური შეფასება, რამაც განაპირობა კანონსაწინააღმდეგო ქცევა :

„განსახიდებელი აღნიშნავს, ხომ ადკოპოდის მიღების პროცესში უჭიხს ზომიეხების დაცვა. მისი თქმით, მან დანაშაუდებრივი ქმედება ადკოპოდუხი თიხობის ქვეშ განახოხციედა.“ (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

არის შემთხვევები, როდესაც მათ კანონთან კონფლიქტი შეექმნათ ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების მიზეზით:

„განსახიდებელი აღნიშნავს, ხომ მას ხამდენიმე თვის წინ დეკისხა ადმინისტრაციუდი ჯახიმა, ხადგან სამახთადამცავებმა მას მახიხუანა აღმოუჩინეს“. (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

არის შემთხვევა, როდესაც მოზარდი განრიდების პროგრამის მონაწილე გახდა ფსიქოაქტიურ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქცევის გამო:

„განსახიდებდმა უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით გამომშხადი მახიხუანა, ხასაც უკანონოდ ინახავდა“. (ამონახიდი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებიდან)

**ძალადობის გამოცდილება:** როგორც ბევრი კვლევა და პრაქტიკოსთა გამოცდილება ადასტურებს, მოზარდის დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევი მიზეზი, ხშირად ინდივიდურ თავისებურებებთან ერთად, მისი სოციალური მიკუთვნებულობით და ამ გარემოში არსებული რისკ - ფაქტორებით არის განპირობებული<sup>3</sup>. მათ შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ინტერპერსონალური ურთიერთობებით მიღებულ ტრავმულ გამოცდილებას, სადაც, ცხადია, ძალადობის გამოცდილება ერთ-ერთი წამყვანია.

წინამდებარე კვლევის შედეგების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდების უმრავლესობას აქვს სხვადასხვა ტიპის ძალადობის გამოცდილება, მათ შორის ფიზიკური, ემოციური, მშობელთან ადრეული სეპარაციისა და უგულებელყოფის. ძალადობის გამოცდილების მაგალითები, სოციალური მუშაკის მიერ მათი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების პროცესში გამოვლინდა, არა მხოლოდ ოჯახის გარემოში, არამედ სასკოლო სისტემაში და თანატოლებთან ურთიერთობაში, რომელსაც დამატებით ოჯახის და გარემოს სხვა ფაქტორებთან ერთად ქვემოთ წარმოგაჩენთ. კვლევის შედეგების ანალიზის ამ ნაწილში კი ამ ფაქტორებზე ხაზგასმა საჭიროდ მივიჩნიეთ, რადგან, ყველა ის ინდივიდური საჭიროება, რომელიც უკვე აღვწერეთ, არის შედეგი მოზარდის მის გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობისა და ინტერაქციის, რაც ვლინდება, როგორც ქცევით და ემოციურ პრობლემებში, არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარების დეფიციტში, ასევე სტრესთან დეზადაპტაციურ გამკლავებაში, სწავლის ინტერესის დაქვეითებაში და ა. შ. ანუ, მოზარდთა ინდივიდური პრობლემები, ხშირად, მათ გარშემო არსებული სოციალური, ეკონომიკური და ინტერპერსონალური პრობლემების ანარეკლია.

**მოზარდთა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა:** საგულისხმოა ასევე კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ - კერძოდ, როგორც მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, შემთხვევათა მხოლოდ 3%-ს აქვს დადასტურებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ხოლო 2%-თან სავარაუდოა, რაც შეეხება ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებს 21%-ს აქვს ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები და

3 - გოძიაშვილი ი., ახასხუდწლოვანთა დანაშაულობის დეტეხმინაცია, 1998; გვ. 189-190 იბ. აჯეთვე ღდონგი გ. (იედ.),2008, გვ. 292.

3% სავარაუდოა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ასეთი სახის მონაცემები მიანიშნებს, რომ მოზარდთა დანაშაულებრივი ქცევის ჩამოყალიბებაში საკმაოდ მცირეა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ხვედრითი წილი.

**ოჯახის დონეზე მოქმედი რისკ-ფაქტორები**

თვისებრივი კვლევის ფარგლებში მონაცემთა ანალიზისას საკმაოდ მაღალია იმ ფაქტორთა ხვედრითი წილი, რომლებიც არასრულწლოვანის ოჯახურ გარემოს უკავშირდება. მათ შორისაა, როგორც ეკონომიკური ფაქტორები, ასევე ბავშვებსა და მშობლებს შორის კომუნიკაციის თავისებურებები, ბავშვის მეურვეობისა და აღზრდის თავისებურებები, ოჯახში ძალადობა, ოჯახის წევრების დანაშაულებრივი ქცევა, ოჯახის წევრის მიერ ფსიქოაქტიური საშუალების ავადმომხარება და სხვა.

**ეკონომიკური სიდუხჭირე:** მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდების დიდი ნაწილი დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონეა, მათ შორის მამრობით სქესის მონაწილეთა 49.4%, ხოლო მდედრობით სქესის მონაწილეთა 63.2 %.

შემთხვევათა უმეტესობაში ვლინდება ისეთი სოციო-ეკონომიკური სტატუსი, როდესაც ოჯახის შემოსავალი საკმარისია მხოლოდ პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის.

*„აჩასხუდწლოვანი წასუდია სახლიდან და ცხოვრობს მაჩგო სხვა ქადაქში. ბებია გამოთქვამს ვაჩაუეს, ხომ ის ჩაჩთუდია პიოსტიგუციაში. ოჯახში საქმეში ჩამდენიმეჯეჩ ჩაჩთო პოდიცია თუმცა აჩასხუდწლოვანი აჩ ჩეხედება სახლში და გაჩბის სახლიდან. გოგონა მიზეზად ფინანსუჩ პიობდემებს ასახელებს - ოჯახს აჩ შეედძო მისი საჭიხოებების დაკმაყოფილება.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა შორის, ვხვდებით ასევე სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებს. ხშირია მშობელთა შრომითი მიგრაციის შემთხვევებიც, ოჯახის არაფორმალური შემოსავალი, ოჯახის ფინანსური დავალიანება. მოზარდთა ისტორიებში ასევე ხშირია, საცხოვრებელი ფართის პრობლემებიც - არასაკმარისი საცხოვრებელ ფართი, ქირით ცხოვრება და სხვა.

*„ ხსენებუდ საცხოვრებელ ოთახში ისინი იხდიან დღიუჩ საფასუხს 5 დაჩის ოდენობით. ჩაც შეეხება ზოგად საყოფაცხოვრებო პიხოებებს, აღსანიშნავია, ხომ საცხოვრებელი ფაჩთი აჩის ავაჩიუდი, აჩ აჩის მოწესჩიგებუდი კომუნადუჩი და სანიტაჩუდი მდგომაჩეობა. კეჩძოდ საცხოვრებელს აჩ აქვს სვედი წეჩგიდები და სამზაჩეუდო.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

**მშობელთან/აღმზრდელთან ურთიერთობის თავისებურებები:** კვლევა აჩვენებს, რომ მოზარდთა მნიშვნელოვან ნაწილს აქვს მშობლებთან ურთიერთობის სიმწირე, რაც განპირობებულია მათგან მოშორებით ყოფნით, არასაკმარისი კომუნიკაციით ან მშობლების განქორწინებისა და გარდაცვალების შემთხვევებით. იკვეთება მშობელთან/მშობლებთან ემოციური კავშირის დეფიციტი, დისტანციური ურთიერთობა:

*„ აჩასხუდწლოვანის მშობლები განქოჩწინებუდები აჩიან დაახლოებით 13 წელია, დედა ამჟამად ცხოვრობს გეჩმანიაში და ჰყავს მეოჩე ოჯახი, ...დედაზე ემოციუჩად საუბრობს, მისი თქმით, ყოვედთვის განიცდიდა დედის აჩ ყოფნას.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ფაქტორად გამოიკვეთა ბარიერები და კომუნიკაციური სირთულეები მშობლებთან. ხშირია შემთხვევები, როდესაც, თავად მშობლები არ ფლობენ სათანადო აღმზრდელიობით უნარებს მოზარდთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება/შენარჩუნებისათვის:

*„დედას ბავშვების ასაკობჩივი თავისებუჩებების გაგება უჭიხს, თავს გჩძნობს უუნაჩოდ, ჩაც მასში იწვევს ბჩაზს. დედას უჭიხს ემოციებთან გამკლავება და ხშიჩად ჩხუბობს, ყვიჩის.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

როგორც კვლევა აჩვენებს, მოზარდსა და ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის სირთულეს ქმნის ოჯახისადმი უნდობლობა, მშობლების მხრიდან მხარდაჭერის დეფიციტის განცდა. ამავდროულად, ზოგან გამოხატულია ოჯახის წევრების მხრიდან ურთიერთობის მკაცრი/დასჯაზე ორიენტირებული სტილი.

*„მშობლები აჩ გამობაგავენ მხაჩდაჭეჩას, ფიქობენ, ხომ განჩიღების პიოგჩამაში მათი შვიდის ჩაჩთვა, აჩასაკმაჩისი სასჯელია“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

შემთხვევათა დიდ ნაწილში ვლინდება მშობლის მეთვალყურეობის/მონიტორინგის ნაკლებობა, მათი შვილის ცხოვრებაში ჩართულობის დაბალი ხარისხი, რაც ასევე არის რისკ-ფაქტორი მოზარდის მიერ დანაშაულებრივი ქცევის განხორციელებისთვის. აღნიშნულ მიზეზს თავად მშობლებიც ასახელებენ:

*„მშობლების თქმით, ისინი მთელი დღის მანძილზე აჩ იმყოფებიან სახლში, აჩიან დასაქმებუდი და სათანადო ყუჩადლებას და ზედამხედველობას ვეჩ უწევენ შვიდს.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

მშობლის მონიტორინგის დეფიციტის პირობებში მოზარდებში წარმოდგენილია ბევრი არასტრუქტურირებული

თავისუფალი დროის პრობლემა, საგანმანათლებლო სახის სირთულეები, ასევე ურთიერთობა დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებთან.

**მშობლების მხრიდან ძალადობა:** განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე მოზარდთა ისტორიებში გამოიკვეთა მშობელთა მხრიდან სხვადასხვა სახის ძალადობის გამოცდილებაც, მათ შორის, უგულბელყოფაც:

*„ შეფასებისას გაჩნდა ეჭვი ხომ დედა ცუდად ექცევა, ფიზიკუჩად და ფსიქოლოგიუჩად ძადადობს და უგულებელყოფს მის საჭიხოებებს.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

*„აჩასხუდწლოვანს 11 წლამდე აჩ ჰქონია დედასთან უჩთიეჩთობა, ცხოვრობს ბავშვთა სახლში და ოჯახის წევრებთან ნაკლებად აქვს უჩთიეჩთობა“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა მნიშვნელოვან ნაწილს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება აქვს:

*„წაჩხუდღში დედა სცემდა, თუმცა ამჟამად დედა მოზაჩდის მიმაჩთ აღზჩდის ძადადობჩივ მეთოდს აღაჩ მიმაჩთავს...დედას უჭიხს ემოციებთან გამკლავება და ხშიჩად ჩხუბობს, ყვიჩის, თხოვს შვიდს ხომ აჩ იყო ს უქმად, ჩის გამოც მოზაჩდი ყოვედღიუჩად ემოციუჩი ძადადობის მსხვეჩპღია, ჩასაც დედა ვეჩ იაზჩებს.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

**იძულება, როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, გამოვლინდა მოზარდთა ერთ ჯგუფთან:**

*„დედა სთხოვდა აჩასხუდწლოვანს მის მიეჩ გამომუშავებუდ თანხას და იყენებდა პიჩაჩი ინტეჩესებისთვის.“ (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

კვლევის შედეგების ანალიზით, ასევე იკვეთებიან მოზარდები, რომლებსაც აქვთ ოჯახში ძალადობის და ოჯახური კონფლიქტების გამოცდილებაც:

*„მციჩე ასაკიდან აჩის ოჯახუჩი კონფლიქტების მონაწიდე. მშობლებს შოჩის ხშიჩი იყო უთანხმოება, მამის მხიდან დედის მიმაჩთ განხოჩციედებუდი ძადადობის, მათ შოჩის ფიზიკუჩი ძადადობის ფაქტები.“, დედის გადმოცემით, აჩასხუდწლოვანის მამა ავღენდა ძადადობჩივ ქცევებს მის მიმაჩთ, ჩასაც აჩაეჩთხედ შესწეებია მოზაჩდი.“*

**ოჯახის წევრის დანაშაულებრივი ქცევა:** განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდების ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებისას გამოიკვეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი, რომელიც ოჯახის წევრის ნასამართლეობას და კრიმინალურ ქცევას უკავშირდება. საინტერესოა, რომ ქურდობის ტიპის დანაშაულის მქონე მოზარდებთან ოჯახის წევრებს აქვთ ამავე ტიპის დანაშაულის გამო მოხდილი სასჯელი:

*ძმა „იხდიდა პიხოებით სასაჯელს ავტომობდის უკანონოდ დაუფლების ფაქტზე“.*

ასევე არის შემთხვევები, სადაც მოზარდების ოჯახის წევრები იხდიან სასჯელს ოჯახში ძალადობის, ნარკოტიკული დანაშაულისა და ეკონომიკური დანაშაულის გამო. არის შემთხვევები, სადაც ოჯახის რამდენიმე წევრს აქვს ჩადენილი დანაშაული.

ერთ-ერთ შემთხვევაში ვლინდება, რომ მოზარდის მამა ქურდობის მუხლით იმყოფება პატიმრობაში და მანვე რამდენიმე წლის წინ ჩართო მოზარდი არაკანონიერ ქმედებაში („მან შვიდი მაღაზიაში შეუშვა თანხის მოსაპაჩად, ჩადგან იცოდა, ხომ ---- ჯეჩ აჩ იყო 14 წდის და ვეჩ დადებოდა მისი პასუხისგების საკითხი“). ამავე შემთხვევაში ვლინდება, რომ პირობითი მსჯავრი აქვთ მოხდილი დედასა და ბიძას ძალადობის მუხლით. კრიმინალური გამოცდილებებით დატვირთული ოჯახის მოცემულ შემთხვევაში, იკვეთება ტენდენცია, როდესაც ოჯახის ასეთი ისტორიის შედეგად, არასრულწლოვანი ავლენს ანტისოციალურ დამოკიდებულებებს/რწმენებს:

*„აღნიშნავს, ხომ მისთვის ნასამაჩთღობა აჩ წაჩმოაღვენს პიხოდემას“;*

*„მისი გადმოცემით, უჩჩვენია მოიხადღოს პიხოებით სასჯელი, ვიდე შეასხუღოს მოხადისეობჩივი სამუშაო“; (ამონაჩიდი ბიო-ფსიქო-სოციალუჩი შეფასებიდან)*

საინტერესოა კავშირების დანახვა ოჯახის წევრის დანაშაულებრივ ქცევასა და მოზარდის ემოციური სფეროს სირთულეებს შორის. კვლევის მონაცემებით, იმ ოჯახებში, რომელთა წევრსაც აქვს ჩადენილი დანაშაული, ემოციური სფეროს სირთულეები აქვს მოზარდთა - 43.8%, ხოლო იმ ოჯახებში, რომელთა წევრებსაც არ აქვთ ჩადენილი დანაშაული, ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ნაკლებია - 22%.

აღსანიშნავია ისიც, რომ როცა ოჯახის რომელიმე წევრს აქვს ჩადენილი დანაშაული, ქცევითი სირთულეები უვლინდება მოზარდთა 26.3% - ს, ხოლო სადაც არ ფიქსირდება ოჯახის წევრის დანაშაულის ისტორია, ქცევითი სირთულეები აქვს - 17.9% -ს.

**ოჯახის წევრის მიერ ფსიქოაქტიური საშუალების ავადმობზარება:** განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდების შემთხვევების შესწავლისას გამოიკვეთა არასრულწლოვანთა ერთი ნაწილი, რომელთა ოჯახის წევრები მოიხმარენ სხვადასხვა ფსიქოაქტიურ საშუალებებს:

„განხილებულის მამა ბოლო 13 წელია აქტიუხად მოიხმარს ადკოპოლუხ სასმელს.“

„განხილებული აღნიშნავს ხომ დედამისი ჭახბად მოიხმარს ადკოპოლს.“ (ამონახილი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებეიდან)

**სოციალურ დონეზე მოქმედი ფაქტორები**

სოციალურ დონეზე მოქმედ ფაქტორთა შორის, წინამდებარე კვლევს ფარგლებში, რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გამოიკვეთა, მათ შორის სკოლის გარემოს ზეგავლენა, თანატოლთა ზეგავლენა და თემთან დაკავშირებული ფაქტორები.

**სკოლის გარემოს ზეგავლენა:** ბევრი კვლევა ადასტურებს, რომ გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულეები უკავშირდება თანატოლთა წრეში თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლას. დანაშაულებრივი ქმედებები ინტენსიურად ვლინდება 16-დან 18 წლამდე ასაკში“. ეს პროცესი უმრავლეს შემთხვევებში სასკოლო ცხოვრებას უკავშირდება, რადგან მოზარდი სკოლაში არა მარტო განათლებას იღებს, ესაა მისი თანატოლებთან ურთიერთობისა და სოციალიზაციის სივრცეც. შესაბამისად, ამ გარემოში არსებული დაბრკოლებები, პრობლემები ან პირიქით, მხარდაჭერა და წარმატებები, უშუალოდ აისახება მოზარდის ემოციურ მდგომარეობაზე და ქცევაზე.

წინამდებარე კვლევაში გამოიკვეთა მოზარდთა ისტორიები, სადაც წამყვანია განმეორებადი ფსიქოლოგიური ზეწოლა თანაკლასელთა მხრიდან - **ბულინგი**, რომელიც არასრულწლოვნის დანაშაულის წინაპირობა გახდა, პირველ ეტაპზე ის გამოიხატა თანატოლებისგან იზოლაციაში, შემდეგ სკოლის სისტემატურ გაცდენაში (საფრთხისთვის თავის არიდება) და საბოლოოდ კანონსაწინააღმდეგო ქცევაში.

ერთ-ერთი მოზარდის ისტორიაში კი ვკითხულობთ:

„მისმა მეგობარმა ყველა კლასელს აჩვენა ვიდეო, სადაც ჩანს, ფიზიკუხად ხოგოხ უსწოხდებათ თანატოლები ეხთმანეთს. აღნიშნულის გამო განსაჩიებებელს მუდმივად ესმის ხეპლიკები მის მიმახით, ხაც გავდენას ახდენს ფსიქო-ემოციუხ მდგომარეობაზე. შემთხვევის შემდეგ განსაჩიებებელი იშვიათად მიდის სკოლაში, მისვდის შემთხვევაში კი შესაძლოა ეხთ ან ოხ გაკვეთილს დაესწოხს.“

ასევე ვლინდება თანატოლთა მხრიდან არასრულწლოვანის გარიყვის მცდელობა:

„ყოველდღიუხად განიცდის ფსიქოლოგიუხ ძადალობას თანატოლებისგან. ჰყვება, ხომ ნეგატიუხ დამოკიებებულებას გიძნობს კლასელებისგან, მასთან მეგობრობის ინიციატივას აჩავინ იჩენს. ამბობს, ხომ უჭიხს მიზეზების პოვნა, თუ ხაგომ აქვთ მსგავსი ნეგატიუხი დამოკიებებულება მის მიმახით, ხადგან თავად ახ ახის კონფიქტუხი“.

ვლინდება არასრულწლოვნების ფიზიკურ დაპირისპირებაში ჩართვის შემთხვევები სკოლაში:

„დედის გადმოცემით, იყო შემთხვევები ხოდესაც მოზარდს სკოლაში ფიზიკუხი დაპიხისპიხება ჰქონდა თანატოლებთან“. (ამონახილი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებეიდან)

სკოლის გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორების კვლევისას გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც მოზარდი მასწავლებლის მხრიდან სისტემატურად განიცდიდა ემოციურ ზეწოლას:

„მასწავლებელი მას მუდმივად აყენებდა სიტყვიეხ შეუხაცხყოფას. ----- გამოხატავდა პიოტესტს ასევე იმ გახემოების გამო, ხომ მასწავლებელმა ეხთ დლესაც სხუდიად დაუმსახუხებდად ჟუხნადში ოხი ოხიანი დაუწეხა, ხის გამოც ძადიან გაბხაზდა.“ (ამონახილი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებეიდან)

ასევეერთ-ერთ შემთხვევაში არასრულწლოვანი აზიარებს ინფორმაციას მასზე მასწავლებლის მხრიდან განხორციელებული ემოციური ძალადობის შესახებ, რასაც გაბრაზების ნიდადგზე, მოზარდმა საკუთრების დაზიანებით უპასუხა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდების ინდივიდურ რისკ-ფაქტორები, რომლებიც სკოლასთან მიმართებაში გამოვლინდა (სწავლის მოტივაციის ნაკლებობა; სკოლის ხშირი გაცდენა; დაბალი აკადემიური მოსწრება; კლასში ჩარჩენის გამოცდილება; საგანმანათლებლო დაწესებულების ხშირი ცვლა; სასწავლო პროცესის შეწყვეტა), რიგ შემთხვევებში სასკოლო გარემოში არსებულ პრობლემებს და რიგ შემთხვევებში ოჯახში არსებულ სიტუაციას უკავშირდებოდა.

**თანატოლთა ზეგავლენა:** სოციალურ დონეზე მოქმედ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანატოლთა

ზეგავლენას, რაც ასევე დადასტურდა წინამდებარე კვლევით. შემთხვევების დიდ ნაწილში დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა ჯგუფურად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანატოლები ახდენენ გავლენას ინდივიდის ქცევაზე, როდესაც იგი ასერტული კომუნიკაციის უნარებს არ ფლობს.

შემთხვევათა უმეტესობაში, მოზარდებს ჰყავთ დელიქვენტური ქცევის მქონე მეგობრები. არის შემთხვევები, როდესაც დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად, რა დროსაც დასტურდება დელიქვენტური ქცევის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა. ასევე არის შემთხვევები, როდესაც მოზარდი ინდივიდურად ჩადის დანაშაულს, თუმცა ჰყავს მეგობრები, რომელთაც გამოცდილებაში აქვთ კრიმინალური ქცევა.

რაც შეეხება ანტისოციალური ქცევითი ღირებულებების მქონე მეგობრების ყოლას, განვიხილოთ ეს ცვლადი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით: როგორც აღმოჩნდა, ანტისოციალური ქცევითი ღირებულების მეგობრების ყოლის მაჩვენებელი სკოლის ასაკის (18 წლამდე) რესპონდენტებში 35%-ია, ხოლო ზედა ასაკობრივ კატეგორიაში (18-დან 21 წლამდე) ეს ციფრი მცირდება 21%-მდე. სავარაუდოა, რომ ჩვენს მიერ აღწერილი სკოლის ასაკის შემთხვევების 28%-ში, და სკოლის ასაკის ზედა ზღვარის 14%-ში, მონაწილეებს აქვთ შეხება ანტისოციალური ქცევის/ღირებულების მეგობრებთან.

**თემის ზეგავლენა:** თემის დონეზე მოქმედ ფაქტორთა შორის იკვეთება კრიმინალური უბნის ზეგავლენის მაჩვენებელიც:

„მშობლების მიეხ მოწოდებუდი ინფოხმაციით, მოზარდის სკოლა მდებარეობდა სხვა უბანში, სადაც მას ჰყავდა სამეგობრო წეხ, ხომელსაც მშობლები ახ იცნობდნენ. აღნიშნულ პიხებთან ეხთად განახოხციედა ----- კანონდახლვევა, ხის გამოც, დედას ჰქონდა შიშის განცდა, მოზარდს ალახ უშვებდა სკოლაში“. (ამონახილი ბიო-ფსიქო-სოციალუხი შეფასებეიდან)

თვისებრივი კვლევით მიღებული მონაცემების შეჯამებისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოზარდთა ანტისოციალური და კანონსაწინააღმდეგო ქცევა მულტიფაქტორულია, მას ინდივიდის, ოჯახის და სოციუმის დონეზე მოქმედი ფაქტორების ერთობლიობა განსაზღვრავს. **პრობლემები, რომლებიც აქვთ მოზარდებს** (ემოციური, ქცევითი პრობლემები, სწავლის დაბალი მოტივაცია, კრიმინალური ფასეულობებისადმი ტოლერანტობა, სოციალური ნორმების უგულბებლყოფა, სტრესის დაძლევის მანკიერი სტრატეგიების ქონა) **უკავშირდება გარემოში არსებულ პრობლემებს** (ძალადობის გამოცდილება ოჯახსა და სასკოლო გარემოში, ბავშვსა და მშობლებს შორის კომუნიკაციის სიმწირე, ეკონომიკურ სიდუხჭირე, ოჯახში ძალადობისა და კონფლიქტების გამოცდილება, აღზრდის სტილი, მშობლებთან სეპარაცია, მშობლის მხრიდან უგულბებლყოფა და სხვა). **ამიტომ, როცა საუბარია მოზარდთა დანაშაულის პრევენციაზე, პირველ რიგში მნიშვნელოვანია გარემოში არსებული რისკ-ფაქტორების შემცირება.**

წინამდებარე კვლევა ორიენტირებული იყო არა მხოლოდ იმ ხარვეზების გამოვლენაზე, რაც დანაშაულებრივი ქცევის პრედიქტორია, არამედ ინდივიდის და სოციუმის დონეზე არსებული დამცავი ფაქტორების მოძიებაზეც, რასაც ასევე გადამწყვეტი როლი აქვს დანაშაულის პრევენციაში და ის ხშირად, სწორედ ჩარევის სტრატეგიას განსაზღვრავს. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 100 მოზარდის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი სახის დამცავი ფაქტორები:

**ინდივიდურ დონეზე მოქმედი დამცავი ფაქტორები**

შემთხვევებში დანაშაულებრივი ქცევის რეციდივისგან ინდივიდურ დონეზე მოქმედი დამცავი ფაქტორების სახით ვლინდება:

- ▶ სასწავლო პროცესში ჩართულობის მაღალი ხარისხი;
- ▶ დანაშაულის გაცნობიერება;
- ▶ სხვა აქტივობები/ინეტერესები (მეტწილად სპორტი, ხელოვნების სფეროები)
- ▶ სწავლის გაგრძელებისთვის მზაობა (მეტწილად პროფესიული განათლების მიმართულებით: კულინარია; მანქანების შეკეთება; სტილისტის საქიანობა; ფეხბურთის მწვრთნელის პროფესია; IT აკადემიაში სწავლა; უმაღლესი განათლების მიღების სურვილი, ჯარში მსახურების სურვილი)
- ▶ კანონმორჩილი ცხოვრების გაგრძელების მოტივაცია;
- ▶ დასაქმება (მეტწილად 18 წელს ზემოთ)

**ოჯახის დონეზე მოქმედი დამცავი ფაქტორები**

შემთხვევების შესწავლისას ვლინდება ოჯახის დონეზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც ამცირებს მომავალში მოზარდის მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ალბათობას. მათ შორისაა:

- ▶ მხარდამჭერი მშობლები (უწყობენ ხელს განრიდებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაში; უწევენ სათანადო მონიტორინგს);
- ▶ ხშირი კომუნიკაცია მოზარდთან, მისი საქიროებებით დაინტერესების მაღალი ხარისხი;



- ▶ კონსტრუქციული, არაძალადობრივი ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის;
- ▶ ოჯახის წევრების უარყოფითი დამოკიდებულება მოზარდის დანაშაულებრივი ქმედების მიმართ;
- ▶ საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

**სოციალურ დონეზე მოქმედი დამცავი ფაქტორები**

- ▶ პროსოციალური ქცევის თანატოლებთან ურთიერთობა;
- ▶ კონსტრუქციული ურთიერთობა თანატოლებთან, სხვაახლო პირებთან (ნათესავები, მეზობლები) და საგანმანათლებლო პერსონალთან;
- ▶ მხარდამჭერი პედაგოგები;
- ▶ სახელმწიფო მხარდამჭერი სერვისებით სარგებლობა: უფასო სასაფლავო; სოციალური შემწეობა.

**ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების შესწავლა**

კანონთან კონფლიქტში მყოფი 100 მოზარდის შემთხვევის ანალიზის და დანაშაულებრივ ქმედებაზე მოქმედი ფაქტორების კვლევამ ცხადჰყო, რომ დანაშაულის ჩადენაზე მრავალი სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს, როგორც ინდივიდურ, ასევე ოჯახისა და სოციალურ დონეზე. აქედან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები საკმაოდ მწირია. კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 3%-ს აქვს დადასტურებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. თუმცა, შედარებით მაღალია ემოციური და ქცევითი სირთულეების მაჩვენებლები.

კვლევის მეორე ეტაპზე დაიგეგმა მოზარდთა სამი განსხვავებული ჯგუფის, მაღალი რისკის (იძულებით გადაადგილებული პირები), კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების/ ახალგაზრდების (განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე) და ზოგადი პოპულაციის მოზარდების - საჭიროებების, ფსიქიკური ჯანმრთელობის მახასიათებლების (ქცევა და ემოციები) შედარება.

მკვლევართა ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი ინსტრუმენტები:

**ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებელი კითხვარი (SDQ)** ქცევის შესაფასებელი სკრინინგ ინსტრუმენტია, რომელსაც გააჩნია თვითშეფასების, მშობლისა და მასწავლებლის შესაფასებელი ფორმები. კითხვარი გვეხმარება შემდეგი სირთულეების იდენტიფიკაციაში - ემოციური სირთულეები, ქცევითი სირთულეები, ჰიპერაქტივობა/უყურადღებობა, თანატოლებთან ურთიერთობა და პროსოციალური ქცევა; გარდა ძირითადი 25 დებულებისა, კითხვარი შეიცავს დამატებით შეკითხვებს, პრობლემის ხანგრძლივობისა და გავლენის შესახებ. ინსტრუმენტი გამოიყენება სკრინინგის და არა დიაგნოსტიკის მიზნით.

**პაციენტის ჯანმრთელობის შესაფასებელი კითხვარი (PHQ-9):** თვითანგარიშის ფორმაა, რომელიც შედგება 10 დებულებისაგან; შექმნილია გუნებ- განწყობის დაქვეითების (დეპრესიის) იდენტიფიკაციის მიზნით. კითხვარის შედეგები მიანიშნებს დეპრესიის რისკის ალბათობაზე და არა დიაგნოზზე.

**გენერალიზებული შფოთვისით აშლილობის შესაფასებელი სკრინინგ ინსტრუმენტი:** თვითანგარიშის ფორმაა, რომელიც შედგება 8 დებულებისაგან, რომელიც გენერალიზებული შფოთვისით აშლილობის ნიშნებისა და რისკის იდენტიფიკაციას ემსახურება.

კვლევაში მონაწილეოვა მიიღო განრიდებულმა მოზარდებმა და ახალგაზრდმა, რომელების მომსახურებას ლებულოდნენ კლუბ სინერგიაში. დევნილთა თემში მცხოვრებმა 14-დან 18 წლამდე მოზარდებმა და ამავე ასაკის სკოლის მოსწავლეებმა.

კვლევის ყველა ინსტრუმენტიდან მიღებული მონაცემი დამუშავებულია რაოდენობრივი მეთოდით.

მონაცემთა ბაზა შეიქმნა სოციალური სტატისტიკის დამხმარე პროგრამებით, Excel და IBM SPSS 23-ით. შედეგები დამუშავდა IBM SPSS 23--ის გამოყენებით. მონაცემთა დამუშავების მიზნით საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა - სიხშირეები, (Frequence) საშუალო, (mean) კორელაცია, ჯგუფის მონაცემების შესადარებელი სხვადასხვა ინსტრუმენტები, ANOVA, T-test, Che square test.

კვლევაში წარმოდგენილია სამი ჯგუფი: **ზოგადი პოპულაცია, იძულებით გადაადგილებულ მოზარდთა ჯგუფი და განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა ჯგუფი.**

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 596 ცდის პირმა. რესპოდენტების 53%-ს შეადგენს მამრობითი, ხოლო 47%-ს

მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. ცდის პირთა საშუალო ასაკია - 15.45 წელი, M=15.4 SD=2.13 , რესპოდენტთა მინიმალური ასაკია - 14 წელი და მაქსიმალური ასაკი - 21 წელი. რესპოდენტთა უმრავლესობის ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი თბილისია - 55%. მას მოყვება გორი - 24%, (ძირითადად დევნილთა დასახლებები) ბათუმში 15.6%. დანარჩენი რესპოდენტები განაწილებულნი არიან ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში - 2.3%. კვლევაში მონაწილეობდნენ შერჩეული სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მათ შორის რესპოდენტთა ყველაზე დიდ წილი მოდის მეორე კლასზე 19.7%, ყველაზე მცირე სასკოლო საფეხურს კი შეეყვება კლასი შეადგენს 1.8%. მეშვიდე კლასში სწავლობს რესპოდენტთა 6.2%, მერვე კლასში - 12.7%, მეცხრე კლასში - 17.2%, მეათე კლასში -16.4%, მეტერთმეტე კლასში - 15.6%, სასკოლო ასაკს გადასცდა ან/არ სწავლობს რესპოდენტთა 10%. ჯგუფებს შორის შედარებისას, ჰომოგენურობის უზრუნველყოფის მიზნით მონაცემების გაფილტრულია ასაკის მიხედვით და ასახავს 14-დან 18 წლამდე მოზარდების მონაცემების საფუძველზე მიღებულ შედეგებს.


\* \* \*

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა მნიშვნელოვან ნაწილს აღენიშნება ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა სირთულეები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე; თუმცა, მათი და სხვა რისკ ჯგუფის, კერძოდ დევნილთა და ზოგადი პოპულაციის ჯგუფის მონაცემებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გავრცელების მაჩვენებლები თითქმის იდენტურია.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა დაახლოებით ნახევარს აღენიშნება შფოთვის, დეპრესიისა და ემოციური ან/და ქცევითი სირთულეების ისეთი ხარისხით გამოხატული პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე და ხელს უშლიან სწავლაში, მუშაობაში ან სოციალურ ურთიერთობაში. მონაწილეთა 21.80% აღწერს შფოთვისით აშლილობისათვის დამახასიათებელ გამოხატულ ნიშნებს; 25.5% - კი საშუალო ხარისხით გამოხატულ სირთულეებს; შედარებით მაღალია დეპრესიისათვის დამახასიათებელი ნიშნების გავრცელება: 27.8% აღწერს გამოხატულ, ხოლო 31.5% საშუალო ხარისხის სირთულეებს; საყურადღებოა, რომ როგორც შფოთვის, ისე დეპრესიისათვის დამახასიათებელი ნიშნების გავრცელება განსხვავებულია გოგონებსა და ბიჭებში; საშუალო ხარისხით გამოხატული სირთულეები გაცილებით მაღალია გოგონებში ვიდრე ბიჭებში, თუმცა, გამოხატული სირთულეები თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება ორივე სქესის წარმომადგენლებში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი, მიუხედავად გამოხატვის ხარისხისა, აღნიშნავს, რომ არსებული პრობლემები მნიშვნელოვნად ართულებს მათ ყოველდღიურ ფუნქციონირებას. დაახლოებით მეოთხედი (25.5% შფოთვის და 24.5% დეპრესიის შემთხვევაში) აღწერს საშუალო ხარისხის სირთულეებს ფუნქციონირებაში, ხოლო 23.7% შემთხვევაში შფოთვის და 13.2% შემთხვევაში დეპრესია მნიშვნელოვნად ართულებს ყოველდღიურ ფუნქციონირებას.


აღწერილი შედეგები ცხადჰყოფს, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა ჯგუფში ნახევარს აღენიშნება შფოთვის ან დეპრესიისათვის დამახასიათებელი სირთულეები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე; გარდა ამისა, საშუალო ხარისხით გამოხატული სირთულეები უფრო მეტადაა დამახასიათებელი გოგონებისათვის, ხოლო მწვავედ გამოხატული სირთულეები თანაბრად გვხვდება როგორც გოგონებში ისე ბიჭებში იხ. გრაფიკი 1.

**გრაფიკი 1. შფოთვის დონის %-ული განწილება სქესის მიხედვით**



**გრაფიკი 2. დეპრესიის დონის %-ული განილება სქესის მიხედვით**

დეპრესიის მაჩვენებელი სქესის მიხედვით  
განრიდებისა და მედიაციის პროგრამის  
მონაწილეებში




ქცევითი და ემოციური სირთულეების არსებობაზე მიუთითებს ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებელი ინსტრუმენტის ანალიზიც, რომლის მიხედვითაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა 50.8%-ის ჯამური ქულა გამოხატული პრობლემების არსებობაზე მიანიშნებს; მონაწილეთა 20%-ს აღენიშნება საშუალო ხარისხით გამოხატული ქცევითი სირთულეები, როგორცაა - დაუმორჩილებლობა, ტყუილი, ქურდობა; სირთულეები ტოლბრუნოვანი ურთიერთობაში - მათ შორის ბულინგი, გარიყულობა, კონფლიქტები. შედარებით დაბალია ყურადღებისა და ჰიპერაქტივობის მაჩვენებლები, მონაწილეთა მხოლოდ 10% აღწერს, ისეთ სირთულეებს, როგორცაა - მოუსვენრობა, გაფანტულობა, იმპულსურობა.

კვლევის ერთერთ მიგნებას წამოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი, თუმცა მეტნაკლებად თანაბარი მაჩვენებლები იმ მოზარდებს შორის, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული (განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა), რომლებიც წარმოადგენენ რისკ ჯგუფს (დევიანობები) და ზოგად პოპულაციას.


როგორც თითოეული ჯგუფის მონაცემების ანალიზი და შედარება ცხადყოფს, შფოთვისა და დეპრესიის გამოხატული ნიშნების მიხედვით განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა მაჩვენებლებს მცირედით უსწრებს ზოგადი პოპულაციის მაჩვენებლები, დევიანობა ჯგუფის მაჩვენებლები კი, ორივე ჯგუფზე ნაკლებია. (იხ. გრაფიკი 3.) ჯგუფებს შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პატერნი იდენტურია, როგორც შფოთვის, ისე დეპრესიის ნიშნების მაჩვენებლებისათვის, თუმცა სტატისტიკურად სანდო განსხვავებას მხოლოდ დეპრესიის შემთხვევაში ვხედავთ; განრიდებულთა ჯგუფს უფრო ნაკლებად აქვს გამოხატული დეპრესიისათვის დამახასიათებელი ნიშნები ვიდრე ზოგად პოპულაციას, და ამ ორ ჯგუფს შორის სხვაობა სანდოა  $F(1,338)=4.2$   $p= 0.04$

**გრაფიკი 3. დეპრესიისა და შფოთვის საშუალო მაჩვენებლები სხვადასხვა ჯგუფებში**



მსგავს ტენდენციას ასახავს შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებლები ხარისხობრივ კატეგორიებში (დაბალი, მსუბუქი, საშუალო, გამოხატული) პროცენტული განაწილების მაჩვენებლების (სიხშირეების) შედარება (იხ. გრაფიკი 4.).


**გრაფიკი 4. შფოთვის ინტენსივობა სხვადასხვა ჯგუფებში (%- ული განაწილება)**



დევიანობა ჯგუფში შფოთვის დაბალი მაჩვენებელია 63.9%. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა ჯგუფი - 52.7% და ზოგად პოპულაცია - 38.7%. მსუბუქად გამოხატული შფოთვისითი სიმპტომები ზოგად პოპულაციაში - 36.9%-ში, მას მოჰყვება 29%-ით დევიანობა ჯგუფი და განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა ჯგუფი - 25.5%-ით. საშუალო ინტენსივობით გამოხატული შფოთვა ზოგად პოპულაციაში 19%-ს შეადგენს, ხოლო განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა ჯგუფში - 14.5%-ში, მკვეთრად ეცემა პროცენტული წილი დევიანობა ჯგუფში და ის 4.8%-ის ტოლია. მძიმედ გამოხატული შფოთვისითი ნიშნები ყველაზე მეტად წარმოდგენილია განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა ჯგუფში 7.3% და ის აღემატება ზოგადი პოპულაციის ჯგუფის მაჩვენებელს 5.4%. დევიანობა ჯგუფში კი 2% შეადგენს. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა  $\chi^2=36.07$   $df=6$   $p< 0.05$ .


ჯგუფებს შორის მსგავს ტენდენციას ასახავს (იხ. გრაფიკი 5.) დეპრესიის ინტენსივობის მიხედვით შედარებაც.

**გრაფიკი 5. დეპრესიის ინტენსივობა სხვადასხვა ჯგუფებში (%- ული განაწილება)**



საშუალო და გამოხატული ხარისხის დეპრესიისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა შედარებით უფრო ხშირია განრიდებისა და მედიაციის პროგრამისა და ზოგადი პოპულაციის წარმომადგენლებში ვიდრე დევნილთა ჯგუფში. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეების 13% გამოხატული დეპრესიის ნიშნებს აღწერს; დეპრესიის იგივე მაჩვენებელი ზოგად პოპულაციაში 10%-ში გვხვდება, ხოლო დევნილთა თემში 2.7%-ია. საშუალო მაჩვენებელი კი მეტია ზოგად პოპულაციაში (19%) განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა (14.8%) და დევნილთა თემის (7.5%) წარმომადგენლებთან შედარებით. ჯგუფთა შორის არსებული სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია [ $\chi^2=42.14$  df=6 p< 0.05]


ასაკობრივი დინამიკის შეფასების მიზნით ჯგუფი დაიყო სამ ასაკობრივ ქვეჯგუფად: 12-15 წლის, 16-18 წლის, და 19-ზევით და თითოეულ ჯგუფში განისაზღვრა შფოთვისა და დეპრესიის ნიშნების გავრცელება მათი ინტენსივობის მიხედვით (იხ. გრაფიკი 6.). **გრაფიკი 6. შფოთვის ნიშნების ინტენსივობა ასაკობრივ ჯგუფებში**



მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა დაახლოებით ნახევრს აღნიშნება შფოთვის დაბალი და მსუბუქად გამოხატული ნიშნები; საშუალოდ გამოხატული შფოთვა კი 16-დან 18 წლამდე ასაკში მატულობს და შემდეგ ისევ კლებულობს, რაც სავარაუდოდ აღნიშნული ასაკის თავისებურებას წარმოადგენს; ხოლო გამოხატული შფოთვის მაჩვენებლები ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას და თუ 12-დან 15 წლამდე ასაკში მხოლოდ 3%-ში გვხვდება, 16-დან 18 წლამდე 6,5% აღწევს, ხოლო 18 წლის ზემოთ 7,4% შეადგენს. ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა [ $\chi^2=13.94$  df=6 p=0.03]

მსგავს შედეგებს ვხედავთ დეპრესიის ნიშნების ასაკობრივი დინამიკის შესწავლის დროსაც, თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ ტენდენციურად შეგვიძლია საუბარი, რადგან განსხვავებები ჯგუფებს შორის არ არის სტატისტიკურად სანდო (იხ. გრაფიკი 7.).

**გრაფიკი 7. დეპრესიის ნიშნების დინამიკა ასაკობრივ ჯგუფებში**



ქცევითი და ემოციური სირთულეების ცალკეული სფეროების მიხედვით შესწავლა (ძლიერი და სუსტი მხარეების კითხვარის - SDQ) პრობლემების გავრცელების მცირედით განსხვავებულ ტენდენციას აღწერს, რომლის მიხედვითაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეებთან გაცილებით მაღალია ზოგიერთი პრობლემის გავრცელების მაჩვენებელი, ზოგად პოპულაციასთან და დევნილთა თემის წარმომადგენლებთან შედარებით; მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა (იხ. ცხრილი 1.), საგულისხმოა პრობლემების გავრცელების მაღალი მაჩვენებელი განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა ჯგუფში; საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაშიც, დევნილთა თემში პრობლემების გავრცელების მაჩვენებელი უფრო დაბალია ვიდრე დანარჩენ ორ ჯგუფში.

როგორც რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, ქცევითი და ემოციური პრობლემების მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ინტერპრეტირდება, როგორც გამოხატული პრობლემა, აღნიშნება განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა 50.8%, ზოგადი პოპულაციის 9.7% და დევნილთა თემის 10%. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეებში გავრცელების მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ქცევითი სირთულეებისა და თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემებით; აღნიშნულ ჯგუფში გამოხატული ქცევითი სირთულეები - დაუმორჩილებლობა, ტყუილი, ჩხუბი და სხვა - გვხვდება 19.4%-ში, ზოგად პოპულაციაში 17.2% და დევნილთა თემში მხოლოდ 2%-ში. რაც შეეხება თანატოლებთან ურთიერთობის გამოხატულ სირთულეებს განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა 9.7%, ზოგადი პოპულაციის 3.6% და დევნილთა 4.1% აღწერს (იხ. ცხრილი 1.).

**ცხრილი 1. გამოხატული პრობლემების %-ული განაწილება ჯგუფებში**

პრობლემა	SDQ - ემოციური პრობლემები	ქცევითი პრობლემები	ჰიპერაქტივობა	ტოლბთან ურთიერთობა
განრიდების/მედიაციის პროგრამის მონაწილეები	50%	6.5%	19.4%	9.7%
დევნილთა თემი	10%	2%	2%	4.1%
პოპულაცია	9.7%	10%	17.2%	3.6%


	სტატუსი	N	MAX-MIN	M	SD	SE
ემოციური სირთულეები	ზოგადი	387	0-10	2.16	2.48	.12
	პოპულაცია					
	დევილითა	145		1.98	2.06	.17
	დასახლება					
ქცევითი პრობლემები	განრიდებული	31		2.19	2.22	.40
	ჯამი	563		2.80	2.42	.10
	ზოგადი	390	0-9	2.88	1.78	.09
	პოპულაცია					
პიპერაქტიურობა	დევილითა	144		2.21	1.58	.13
	დასახლება					
	განრიდებული	31		2.81	1.95	.35
	ჯამი	565		2.70	1.76	.07
თანატოლებთან ურთიერთობა	ზოგადი	389	0-10	3.62	2.06	.10
	პოპულაცია					
	დევილითა	145		3.02	1.82	.15
	დასახლება					
სირთულეების ჯამური მაჩვენებელი	განრიდებული	30		3.10	2	.36
	ჯამი	564		3.44	2.01	.08
	ზოგადი	388	0-8	2.15	1.60	.08
	პოპულაცია					
სირთულეების ურთიერთობა	დევილითა	145		1.97	1.59	.13
	დასახლება					
	განრიდებული	31		2.65	1.78	.32
	ჯამი	564		2.13	1.61	.06
სირთულეების ურთიერთობა	ზოგადი	383	0-35	11.96	5.53	.28
	პოპულაცია					
	დევილითა	139		9.29	4.95	.42
	დასახლება					
სირთულეების ურთიერთობა	განრიდებული	31		15.2	3.2	.34
	ჯამი					
	დევილითა					
	დასახლება					

რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე მიღებული შედეგები, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთებისა და ტენდენციის გამოვლენის საშუალებას იძლევა:

- ▶ გამოკითხულთა ნახევარი, მიუხედავად ჯგუფისა, ასაკისა და სქესისა, ავლენს სხვადასხვა ხარისხით გამოხატულ ქცევითი ან/და ემოციური სფეროს სირთულეებს, რომელიც გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე;
- ▶ განრდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა ჯგუფში შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებლები არ განსხვავდება ზოგადი პოპულაციის მაჩვენებლებისაგან; ნახევარს აღნიშნება შფოთვისა და დეპრესიის ისეთი ხარისხით გამოხატული პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე და ხელს უშლიან სწავლაში, მუშაობაში ან სოციალურ ურთიერთობაში. მონაწილეთა 21.80% აღწერს შფოთვითი აშლილობისათვის დამახასიათებელ გამოხატულ ნიშნებს; 25.5% - კი საშუალო ხარისხით გამოხატულ სირთულეებს; შედარებით მაღალია დეპრესიისათვის დამახასიათებელი ნიშნების გავრცელება: 27.8% აღწერს გამოხატულ, ხოლო 31.5% საშუალო ხარისხის სირთულეებს;
- ▶ აღნიშნულ ჯგუფში მაღალია ქცევითი და ტოლებთან ურთიერთობის სირთულეების გავრცელების მაჩვენებელი; ქცევითი და ემოციური პრობლემების მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ინტერპრეტირდება, როგორც გამოხატული პრობლემა, აღნიშნება განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა 50.8%, ზოგადი პოპულაციის 9.7% და დევილითა თემის 10%.
- ▶ დევილითა თემში სხვადასხვა პრობლემების გავრცელების მაჩვენებლები სტაბილურად დაბალია დანარჩენ ორ ჯგუფთან შედარებით, ან ზოგადი პოპულაციის მაჩვენებლების იდენტურია;
- ▶ საშუალო და გამოხატული დეპრესიის, აგრეთვე საშუალო ხარისხით გამოხატული შფოთვის მაჩვენებლები მაღალია გოგონებში ვიდრე ბიჭებში; თუმცა ბიჭებში მეტია შფოთვის მძიმედ გამოხატული ფორმები;
- ▶ ასაკთან ერთად ვლინდება შფოთვის დონის შემცირებისა და დეპრესიის ზრდის ტენდენცია; აღნიშნული დინამიკა დამახასიათებელია სამივე ჯგუფისათვის.

აღწერილი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლენილი პრობლემების ინტენსივობის მიხედვით, შეგვიძლია გამოვყოთ მოზარდთა სამი ჯგუფი, რომელთაგანაც ორი საჭიროებს პრევენციულ ან ინტერვენციულ მომსახურებას. მოზარდთა ნაწილი, ჯგუფის მიუხედავად არ საჭიროებს რაიმე ტიპის ფსიქოსოციალურ მომსახურებას, მოზარდები, რომლებიც ავლენენ მსუბუქი ან საშუალო ხარისხის სირთულეებს -საჭიროებენ პრევენციულ მომსახურებას და მეთვალყურეობას; ხოლო ნაწილი, რომელსაც გამოხატული ემოციური და ქცევითი სირთულეები აქვთ საჭიროებენ ინტენსიურ ფსიქოსოციალურ ინტერვენციას (იხ. გრაფიკი 8.)

გრაფიკი 8. მონაწილეთა % განაწილება პრობლემების ინტენსივობის და ჩარევის საჭიროების მიხედვით



მოცემული ცხრილი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ იმ მოზარდთა რაოდენობა, რომლებიც ინტერვენციას და თერაპიას საჭიროებენ, საგრძნობლად ნაკლებია იმათ რაოდენობაზე, ვისაც მონიტორინგი და პრევენციული ღონისძიებები სჭირდება წარმატებული განვითარებისთვის.

## ხელმისაწვდომი მომსახურებები თბილისსა და რეგიონებში

კვლევის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა, მომსახურებების შესაბამისობა არასრულწლოვან კანონდამრღვევთა საჭიროებებთან - პრევენციის, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის კუთხით. მკვლევარების მიერ მოძიებული ინფორმაცია იმ სერვისების შესახებ, რომელიც შეეხება 14 დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში დანაშაულის მეორე დონის პრევენციას. მონაცემები შეგროვდა ცენტრალური და მუნიციპალური სამსახურებიდან, ასევე არასამთავრობო სექტორიდან. წინასწარ შემუშავებული კითხვარი გაეგზავნა როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორში არსებულ ორგანიზაციებს. კითხვარი მოიცავდა ინფორმაციას მომსახურების ფორმის, მიზნის, დაფარვის არეალის, ხელმისაწვდომობის, დაფინანსების წყაროს შესახებ. ანგარიშში აღწერილია 20 მომსახურება, თბილისსა და რეგიონებში, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულის მეორე დონის პრევენციის ფარგლებში მოიცავს 14-დან 21 წლამდე ახალგაზრდებს, მათ ოჯახებსა და სკოლას.

აღნიშნული მომსახურებებიდან 14 სერვისი, სრულად დაფინანსებულია სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ, ხოლო 6 მომსახურება, რომელიც ორგანიზებულია არასამთავრობო სექტორის მიერ, დაფინანსებას იღებს დონორი ორგანიზაციებისაგან. დონორებისაგან მიღებული დაფინანსება ვადიანია.

**მთელი საქართველოს მასშტაბით** ხორციელდება 7 სახის მომსახურება, მათ შორის 5-ს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო და ძირითადად მოიცავს მაღალი რისკის ოჯახების **ფულად დახმარებას:**

1. ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განისაზღვრება სარეიტინგო ქულის მიხედვით, 30-დან 60 ლარის ოდენობით ერთ ადამიანზე;
2. ბავშვიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 800 ლარის ოდენობით;
3. მარჩენალდაკარგულის სოციალური პაკეტი, გარდაცვლილი მშობლის, 18 წელს მიუღწეველი შვილებისათვის;
4. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა: თითოეულ მსურველზე 1000 ლარის ღირებულების ვაუჩერის გაცემა მოკლევადიან კურსზე პროფესიულ საგანმათლებლო დაწესებულებაში; სტაჟირების შემთხვევაში, სახელმწიფო სტიპენდია 200 ლარი და **არაფულადი სამედიცინო დახმარება;**
5. სათემო ამბოლატორიული მომსახურება 18 წლამდე ასაკის პირებისათვის: მდგომარეობის შესწავლა/დიაგნოსტიკა, მათთვის, ვისაც აღენიშნება ფსიქიკური მდგომარეობისა და ქცევის ცვლილება, სოციალური ფუნქციონირების გაუარესება და დეზადაპტაცია.
6. მე-6 მომსახურება, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს, არის მონყვლადი ოჯახების და სახელმწიფო სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარება დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად, რომელსაც ახორციელებს **ორგანიზაცია „ჩვენი სახლი საქართველო.“**

**მთელი საქართველოს მასშტაბით** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ახორციელებს რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის შემდეგ მომსახურებებს: მინდობითი აღზრდის; რეინტეგრაციის; დღის ცენტრისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურება 18 წლამდე მზრუნველობამოკლებული პირებისათვის. აღნიშნული მომსახურებები ხელს უწყობს მზრუნველობამოკლებული ბავშვების საზოგადოებაში რეინტეგრაციას, მათი ძირითადი უფლებების დაცვას და განხორციელებას, იცავს მათ ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის მაღალი რისკისაგან.

რაც შეეხება **სკოლებში**, არასრულწლოვანთა დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მიმართულებით არსებულ მომსახურებებს, **მთელი საქართველოს მასშტაბით** მუშაობს მანდატურის სამსახური და მასთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები, მანდატურის სამსახური გამოავლენს რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს და ამისამართებს ფსიქოლოგიურ ცენტრში.

**განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი მუშაობს თბილისში, რუსთავში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ახალციხეში, თელავში, ზუგდიდში.** ცენტრის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ **ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე ბავშვები (რომლებსაც აქვთ მოსწავლის სტატუსი), მათი ოჯახები და მასწავლებლები.**

ცენტრში მუშაობენ ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ფსიქიატრები, რომლებიც ბენეფიციარებს აწვდიან შემდეგი სახის ინდივიდურ და ჯგუფურ პროგრამებს: ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების განვითარება, ანტისოციალური ქცევის პრევენცია, ემოციური რეგულაციისა და სოციალური უნარების განმავითარებელი, მშობელთა ფსიქოგანათლების ტრენინგი და ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია.

**მომსახურებები, რომლებიც მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი:** უფასო სასადილოები სოციალურად დაუცველი პირებისათვის;

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის“ მონმე და დაზარალებული ბავშვის და მშობელთა ფსიქოლოგიურ კონსულტირება; ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება; ბავშვის დახმარება და დაზარალებული და მონმე ბავშვის გამოკითხვა NICHD, სტრუქტურირებული პროტოკოლის მიხედვით.

**თბილისსა და ბათუმში** ხელმისაწვდომია ფსიქოსოციალური მომსახურება 14-დან 25 წლამდე მოზარდებისათვის და ახალგაზრდებისათვის; აგრეთვე მათი მშობლებისა და ოჯახის წევრებისათვის. მომსახურებას უზრუნველყოფს „კლუბი სინერჯია“; სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ: კანონთან კონფლიქტში მყოფი, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოზარდები და ახალგაზრდები. კლუბი ბენეფიციარებს სთავაზობს შემდეგ ინდივიდურ და ჯგუფურ პროგრამებს: ინტერპსონალური ურთიერთობები, ემოციური რეგულაცია, პოზიტიური მშობლობა, დანაშაულის პრევენცია, არტ-თერაპია, ტრავმაზე ფოკუსირებული ჩარევა, გემბლინგის სამართავი ინტერვენცია, დეპრესიის მართვის მოდული, კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია და EMDR თერაპია.

ორგანიზაცია, „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი - GCRT“ - **თბილისში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში** - მომსახურებას აწვდის კანონთან კონფლიქტში მყოფ ან/და ანტისოციალური ქცევის რისკის მქონე მოზარდებს, რისთვისაც ორგანიზაციას აქვს შექმნილი 8 სარეაბილიტაციო პროგრამა ამ მიზნობრივი ჯგუფისა და მათი ოჯახებისათვის (ამჟამად პროგრამა შეჩერებულია დაფინანსების შეწყვეტის გამო); ორგანიზაცია ასევე მომსახურებას უწევს წამების მსხვერპლ პირთა ოჯახის წევრებს, მათ შორის ბავშვებს, ასევე ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ბულინგის მსხვერპლ ბავშვებს ( მუშაობს შემდეგი თერაპიული მეთოდებით: ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია, EMDR თერაპია, სხეულზე ორიენტირებული თერაპია, Mindfulness თერაპია).

**თბილისსა და გურიის რეგიონებში** ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი მომსახურებას აწვდის სოციალურად დაუცველ მოზარდებს, მათ ოჯახებსა და პედაგოგებს. მუშაობს ინდივიდური, ჯგუფური, მობილური გუნდის მეთოდებით. პროგრამები ძირითადად საგანმანათლებლო ხასიათისაა.

**თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ახორციელებს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამას. მიუსაფარი ბავშვებისათვის მოქმედებს 6 მობილური ჯგუფი (კარიტასი, ბავშვი და გარემო, ვორლდ ვიუენი). მობილური ჯგუფში შედიან: ფსიქოლოგი, მძღოლი და თანასწორგანმანათლებლები. მობილური ჯგუფი მუსაობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა.

**თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი** - აღნიშნულ ქალაქებში საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი “თანადგომა” 18 წლის ასაკიდან ფსიქოპაქტიური ნივთიერების მომხმარებელ პირებს აწვდის სტაციონარული და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურებას.

**შიდა ქართლის რეგიონში** ფუნქციონირებს ორი მომსახურება, მათგან ორივეს ახორციელებს საზოგადოება ბილიკი: მოქმედებს 2 დღის ცენტრი - „ბილიკი“ და „სხივი“. სერვისი ორიენტირებულია სოციალურად დაუცველ ოჯახებზე. სერვისის სახეებია: საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური, სოციალური და საბაზო მომსახურება. მოქმედებს თემის განვითარების პროგრამები, რომელიც მოიცავს ინგლისური ენის ხელმისაწვდომობას, მედიასკოლას (სატელევიზიო, საგაზეთო და ონლაინ მედია), კომპიუტერული კლასი, ხელგარჯილობის სტუდიას - თეჟა, მინანქარი, ქარგვა და სხვა. თემის განვითარების პროგრამის სამიზნე ჯგუფებია: დევნილი ოჯახების შვილები, ახალგაზრდები, დღის ცენტრის ბენეფიციარების მშობლები/ ოჯახი(სოციალურად დაუცველი ოჯახები).

**სიღნაღში და სიღნაღის რაიონში**, მუნიციპალიტეტი აფინანსებს უფასო სასადილოს სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ბავშვებისათვის. ეხმარება ობოლ სტუდენტებს და სტუდენტებს მრავალშვილიანი ოჯახებიდან, ასევე აქვს დევნილთა, მარტოხელა და მარჩენალდაკარგული ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამები.

**სამეგრელო-ზემო სვანეთში** რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარი“ რთული ქცევის

ბავშვების, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების, მათი ოჯახების და სკოლისათვის, ახორციელებს ინდივიდურ და ჯგუფურ ფსიქოსოციალური მომსახურებას.

**ბათუმის, ზუგდიდის და თბილისის მერიები** სოციალურად დაუცველ ოჯახებს სთავაზობენ უფასო სასადილოებს. ანგარიშში აღწერილი ოცი მომსახურებიდან 15 მოიცავს **როგორც თავად მოზარდის, ასევე მისი ოჯახის მხარდაჭერას**. ფულადი დახმარებები, რომლებსაც სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო და მუნიციპალიტეტები გასცემენ, ასევე მანდატურის სამსახურისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მომსახურება, მოიცავს მოზარდების ოჯახებთან მუშაობასაც, კერძოდ მშობლის კონსულტირებას და პოზიტიური მშობლობის პროგრამებს. ფსიქოსოციალური მომსახურება, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, მოიცავს პროგრამებსა და კონსულტირებას მოზარდების ოჯახებისათვისაც, მათ შორის : ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარი“, ასოციაცია „ჩვენი სახლი-საქართველო“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი“, კლუბი „სინერჯია“, „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი - GCRT“.

სკოლებთან და პედაგოგებთან მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, **თბილისსა და გურიის რეგიონში**, რაც გულისხმობს ყოველკვირეულ შეხვედრებს მოზარდებთან, ძირითადად სკოლებში და ზრდასრულთა განათლების პროგრამის ფარგლებში, თვეში ორჯერ აორგანიზებს შეხვედრებს მშობლებთან და პედაგოგებთან, მომსახურების ძირითადი სამიზნე ჯგუფი კი, სოციალურად დაუცველი ბავშვები არიან.

## შეჯამება

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 100 მოზარდის შემთხვევის კვლევა გვიჩვენებს, რომ მოზარდის/ინდივიდის დონეზე იკვეთება შემდეგი პრედიქტორული ფაქტორები: ემოციური რეგულაციის და ქცევით სირთულეები; სოციალური უნარების დეფიციტი; სწავლის დაბალი მოტივაცია; მოზარდთა ფასეულობები და დანაშაულისადმი დამოკიდებულება - დანაშაულებრივი ქმედებების და კრიმინალური ცხოვრების წესის მაღალი მიმდებლობა, დამკვიდრებული სოციალური ნორმების უგულებელყოფა, ძალადობის გამოცდილება; ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება.

საყურადღებოა, რომ კვლევის ფარგლებში გაანალიზებული შემთხვევების, თითქმის ნახევარს აღენიშნება სხვადასხვა ხარისხით გამოხატული სირთულეები, თუმცა მათი მხოლოდ ნაწილი, შეიძლება აიხსნას ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეებით, გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოხატული სირთულეების გავრცელების მიხედვით განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა ჯგუფი მცირედით განსხვავდება ზოგადი პოპულაციის მონაცემებისაგან; რაც მიანიშნებს, რომ მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობა ვერ იქნება მოზარდთა დანაშაულებრივი ქცევის სანდო პრედიქტორი.

სოციალურ დონეზე მოქმედ ფაქტორთა შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გამოიკვეთა, მათ შორის სკოლის გარემოს ზეგავლენა, თანატოლთა ზეგავლენა და თემთან დაკავშირებული ფაქტორები.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილეთა უმრავლესობას აქვს პრობლემა სკოლასთან და ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებით. მაღალია განათლების წყვეტის მაჩვენებელი, როგორც ბიჭებთან 19% ასევე გოგოებთან - 21%. ასევე იკვეთება შემდეგი სახის პრობლემები: სწავლის მოტივაციის ნაკლებობა; სკოლის ხშირი გაცდენა; დაბალი აკადემიური მოსწრება; კლასში ჩარჩენის გამოცდილება; საგანმანათლებლო დაწესებულების ხშირი ცვლა. სკოლასთან და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მაღალი მაჩვენებელი, დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ პრედიქტორად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც გაცილებით ადრე ხდება თვალსაჩინო, ვიდრე მოზარდი დანაშაულს ჩაიდენს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში მონაცემთა ანალიზისას საკმაოდ მაღალია იმ ფაქტორების ხვედრითი წილი, რომლებიც არასრულწლოვანის ოჯახურ გარემოს უკავშირდება, მათ შორისაა, როგორც ეკონომიკური ფაქტორები (მოზარდების დიდი ნაწილი დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონეა, ბიჭები 49.4%, ხოლო გოგობის 63.2 %.), ასევე ბავშვებსა და მშობლებს შორის კომუნიკაციის სირთულეები (ბიჭი რესპონდენტების 15% -ში ფიქსირდება კონფლიქტები ოჯახში, ხოლო გოგო რესპონდენტების შემთხვევაში ეს მონაცემი თითქმის სამჯერ იზრდება და 43 % -ია); მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ოჯახის წევრების დანაშაულებრივი ქცევა, ოჯახის წევრის მიერ ფსიქოაქტიური საშუალების ავადმომხმარება და სხვა.

**განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ მოზარდთა საჭიროებების და მათი სოციალური გარემოს კვლევა ცხადყოფს, რომ ბავშვზე და მის გარემოზე დაკვირვება და რისკ-ფაქტორების გაანალიზება, შესაძლებელს ხდის დროულად მოხდეს არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკების გამოვლენა. გარკვეული ფაქტორები, როგორც ინდივიდურ, ასევე ოჯახის და სოციუმის დონეზე, პრედიქტორულ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენენ და მათზე კომპლექსური ზემოქმედებით, შესაძლებელია ბავშვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა. ამ ფაქტორების ადრეული იდენტიფიკაცია და პრევენცია, მოზარდის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის საუკეთესო მექანიზმს წარმოადგენს.**

კვლევამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ მიუხედავად, ჯგუფებს შორის განსხვავებებისა, მოზარდები **დაახლოებით მსგავს სირთულეებს განიცდიან - რაც უფრო მათ ასაკობრივ თავისებურებებს უნდა უკავშირდებოდეს, ვიდრე ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას.**

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ყველა ჯგუფში - მოზარდების ნაწილს (7-30%) აქვს მკვეთრად გამოხატული სირთულეები, რომელიც ინდივიდურ ფსიქოლოგიურ ჩარევას, თუ რეაბილიტაციას საჭიროებენ; ხოლო უფრო დიდი ნაწილი (15-38%) საჭიროებს პრევენციულ მიზნობრივ ჩარევებს და მთავალყურეობას შემდგომი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა თუ გავითვალისწინებთ, რომ მოზარდობის ასაკისათვის დამახასიათებელი სირთულეები ტრანზიტული ხასიათისაა და უმრავლეს შემთხვევაში ასაკთან ერთად მცირდება.

**რაოდენობრივი კვლევის შედეგები ერთის მხრივ ცხადყოფს, რომ მოზარდთა საკმაოდ დიდი ნაწილი ავლენს ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთ პრობლემებს, როგორცაა შფოთვისა და დეპრესიისათვის დამახასიათებელი ნიშნები და მეორეს მხრივ მათი თანაბარი გავრცელება სხვადასხვა ჯგუფებს შორის ეჭვის ქვეშ აყენებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებსა და დანაშაულებრივ ქცევას შორის კავშირს. აღნიშნული შედეგები შესაბამისობაშია თვისებრივი კვლევის მონაცემებთან, რომელიც დამოუკიდებლად უარყოფს მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობის, დანაშაულებრივი ქცევის პრედიქტორულ ღირებულებას.**

**ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადად მოზარდობის ასაკი წარმოადგენს ფსიქიკური პრობლემების მანიფესტირების სარისკო პერიოდს, მაგრამ დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ მოზარდები, რომლებსაც აქვთ დამატებითი პრობლემები ოჯახის, სკოლისა და თემის დონეზე, რაც თავისთავად ცხადია მიუთითებს შესაბამისი პროგრამების დანერგვის აუცილებლობაზე.**

მოზარდების საჭიროებების ანალიზი ბუნებრივად აყენებს შესაბამისი მომსახურებების არსებობის, ხელმისაწვდომობის, მრავალფეროვნებისა და ეფექტიანობის საკითხს. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა 20 პროგრამა/მომსახურება, რომელიც არასრულწლოვანთა მეორე დონის პრევენციის მიმართულებით მომსახურებას აწვდის 14-დან 21 წლამდე ახალგაზრდებს, მათ ოჯახებსა და სკოლას თბილისსა და რეგიონებში. აქედან, 14 სრულად ფინანსდება ცენტრალური/ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო 6 პროგრამას არასამთავრობო სექტორი ახორციელებს დონორების ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის ფარგლებში აღწერილი მომსახურებებიდან, მხოლოდ 6 ხორციელდება **მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ პროგრამებს** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ახორციელებს (სარეაბილიტაციო პროგრამები არასრულწლოვანი პრობაციონერებისა და განრიდების პროგრამის მონაწილე, ფსიქო-სოციალური და პროსოციალური ქცევის განვითარებაზე მიმართული 12 ქვე-პროგრამა; ფულადი დახმარებები, პროფესიული განათლების ხელშეწყობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ქცევის შეფასება, არაფულადი სამედიცინო დახმარება). დანარჩენი 14 პროგრამა, მათ შორის ისეთი მნიშვნელობის როგორცაა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი 9 დიდ ქალაქში ფუნქციონირებს და არ არის ხელმისაწვდომი პატარა ქალაქებსა და განსაკუთრებით სოფლებში.

**არსებული მომსახურებების შინაარსობრივმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ მოზარდებისთვის არსებული მომსახურებები, ხშირად მხოლოდ მათზეა მიმართული (ინდივიდური, ასევე ჯგუფური კონსულტირება, ფსიქოთერაპია, ემოციური რეგულაციის ტრენინგი, ბრაზის მართვა და სხვ) და არ ითვალისწინებს მოზარდის გარემოსა და სოციუმში არსებულ გამოწვევებს, არადა, კვლევით მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ სწორედ სოციალურ დონეზე არსებული პრობლემები ხდება მოზარდთა დანაშაულებრივი ქცევის მთავარი წინაპირობა, ასევე აღსანიშნავია, რომ არსებული მომსახურებები არ არის მრავალფეროვანი და ყველასათვის ხელმისაწვდომი.**

## რეკომენდაციები

„სისტემურ და ურთიერთდაკავშირებულ პრობლემებს სისტემური და ურთიერთდაკავშირებული გადაწყვეტილებები სჭირდება“

კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა, ახალგაზრდების საჭიროებების შესაბამისი ეფექტიანი რეკომენდაციების შემუშავება, არასრულწლოვანთა დანაშაულის მეორე დონის პრევენციისათვის.

არასრულწლოვანთა დანაშაულის მეორე დონის პრევენციისათვის ქვეყანაში არსებული მიზნობრივი და სპეციალიზებული სერვისები არ პასუხობს მოზარდთა არსებულ საჭიროებებს, რაც კვლევითაც დასტურდება, ამავე კვლევაზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა არის ის უნივერსალური სივრცე, სადაც მინიმალური დანახარჯებით შესაძლებელია, როგორც მოზარდის დანაშაულებრივი ქმედების წინასწარმეტყველება და ადრეული იდენტიფიკაცია, ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარება.

სამწუხაროდ, საქართველოში არასრულწლოვანთა მართმსაჯულების სფეროში მომსახურებების ხარჯთაღსრულების კვლევა არ არსებობს. თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატების სასკოლო ჩართულობის ეროვნულ ცენტრის მონაცემებით, თითოეული მოზარდის მიერ სკოლის მიტოვება სახელმწიფოს მომავალში დაახლოებით 200 000 ამერიკული დოლარი უჯდება, რადგან არასრულწლოვანთა მხარდამჭერი მომსახურებები საკმაოდ ძვირია: ოჯახის მხარდაჭერა, სოციალური სერვისები; ფსიქიატრიული სერვისები და სხვ. მიზნობრივი და სპეციალიზირებული მომსახურებების ხარჯთაწილის და ეფექტურობის შეფასების საფუძველზე ვაშინგტონის სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანო რეკომენდაციას უწევს არასრულწლოვანთა დელიქტანტური ქცევის პრევენციული პროგრამების შემუშავებას და დანერგვას, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე სკოლის, ოჯახის და თემის დონეზე .

კვლევაში ნათლად გამოჩნდა, რომ მთავარი საჭიროება რომელიც დღეს მოზარდებს უდგათ ეს არის პრევენციული ღონისძიებები სკოლის და ოჯახის დონეზე, რადგან სწორედ სკოლასთან/განათლებასთან და ოჯახთან დაკავშირებული ბევრი ფაქტორი აღმოჩნდა მოზარდის დანაშაულებრივი ქცევის პრედიქტორი. კვლევამ აჩვენა, რომ ხშირად მოზარდის პრობლემები გაცილებით ადრე იწყება ვიდრე ის დანაშაულებრივ ქმედებას ჩაიდენს.

## რეკომენდაცია №1

მნიშვნელოვანია დაინერგოს პრევენციის მასშტაბური ღონისძიებები, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანთა საჭიროებების დროულ გამოვლენას და ჩარევას ჯერ კიდევ ადრეული განვითარების საფეხურზე, როგორც ოჯახის, ასევე სკოლის დონეზე და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა - სიღარიბის პრობლემის, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაცია, ბავშვის ქცევითი, ემოციური, საგანმანათლებლო საჭიროებების ადრეული გამოვლენა, ოჯახზე ორიენტირებული ეკონომიკური და სოციალური მხარდამჭერი პროგრამების ეფექტიანი მექანიზმის ამოქმედება, სადაც გადამწყვეტი როლი აქვს უწყებათაშორის თანამშრომლობას.

განათლების სიტემის და ოჯახის მხარდამჭერი მრავალი ალტერნატიული მომსახურების განვითარებით, ჩვენ შეგვიძლია დავხმაროთ ნებისმიერი სოციალური სტატუსის მქონე მოზარდს - გარდატეხის ასაკის სირთულეების თანმიდევრულ დაძლევაში. რაც თითოეულ მათგანს მისცემს დანაშაულებრივი ქმედებებისგან თავის დაღწევისა და განვითარების შესაძლებლობას.

კვლევაში მონაწილე მოზარდების შედეგებზე დაყრდნობით ჩვენ ვიცით, რომ მათი საჭიროებები მიუხედავად მცირე განსხვავებებისა, თითქმის ერთნაირია და რომ მათი უმეტესობა არ საჭიროებს არც მიზნობრივ და არც სპეციალიზირებულ მომსახურებას. ესენი არიან მოზარდები, რომლებსაც შფოთვის, დეპრესიის, ქცევითი სირთულეების დაბალი და მსუბუქი მაჩვენებლები აქვთ. თუმცა მათი მონაწილეობა პრევენციულ ღონისძიებებში მნიშვნელოვანია.

კვლევის მონაცემებით მიზნობრივი მომსახურებების დანერგვა და მონიტორინგი აუცილებელია მოზარდების 15-35 % -ისთვის. ესენი არიან მოზარდები, რომლებსაც ემოციური და ქცევითი სირთულეების საშუალო მაჩვენებელი აქვთ; ხოლო მოზარდების 7-30% \_ გამოხატული შფოთვის, დეპრესიის და ქცევის სირთულეებით საჭიროებს სპეციალიზებულ, პროფესიულ ჩარევასა და მონიტორინგს.

## რეკომენდაცია №2

1. მნიშვნელოვანია პრევენციული და ინტერვენციული სერვისები დაიგეგმოს გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, სადაც ძირითადი აქცენტი იქნება გადატანილი ოჯახსა და სკოლაში გასატარებელ ღონისძიებებზე;
2. პრევენციული ღონისძიებებისა და პროგრამების დაგეგმვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოიყოს

მეტი რესურსი რისკ-ჯგუფების საჭიროებების კვლევისათვის, რათა დაგეგმილმა პრევენციულმა პროგრამებმა ადექვატურად უპასუხოს არსებულ გამოწვევებს;

3. რისკების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოზარდების ჩართვა ისეთ პროგრამებში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი აღჭურვა ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფსიქო-სოციალური უნარებით, ასევე მნიშვნელოვანია ოჯახების უზრუნველყოფა პოზიტიური მშობლობის, ბავშვებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უნარებით;
4. მნიშვნელოვანია შეიქმნას არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფსიქო-სოციალური ინტერვენციის პროგრამები. განხორციელდეს იმ სერვისებისა და პროგრამების ხელშეწყობა და კვლევა, რომლებიც მოზარდების ფსიქო-სოციალურ მომსახურებაზე მუშაობენ;

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მომსახურებების შესაწავლამ ცხადჰყო, რომ ხელმისაწვდომობის, რაოდენობისა და მრავალფეროვნების გარდა, სერვისების უმეტესობა ორიენტირებულია მხოლოდ მოზარდზე, მის „გამოსწორებასა“ და „გაუმჯობესებაზე“, მაშინ, როდესაც ეფექტიანი და ქმედითი მომსახურებების დანერგვა გულისხმობს არასრულწლოვნის ჰარმონიულ განვითარებაზე ორიენტირებას და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა საჭიროებების შესაბამისობის გააზრებას, ინდივიდუური მიდგომისა და გარემოს სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებას. მსგავსი მიდგომა მიმართულია დანაშაულის კომპლექსური მიზეზების და დანაშაულის განმაპირობებელი ფსიქო-სოციალური ფაქტორების აღიარებაზე, რაც პასუხისმგებლობას არამხოლოდ ინდივიდს აკისრებს, არამედ იმ გარემოსაც, რომელშიც პიროვნება ყალიბდება და ვითარდება.

## რეკომენდაცია №3

1. მნიშვნელოვანია მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე - არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი, მდგრადი მექანიზმის შექმნა, სადაც წამყვანი როლი აქვს მჭიდრო თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობებს, ადგილობრივ სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის;
2. მნიშვნელოვანია მომსახურების ხარჯეფექტურობის შეფასება და პრევენციული ღონისძიებების ფართომასშტაბიანი დანერგვა;
3. ალტერნატიული მომსახურებების შემუშავება და ფართოდ გავრცელება;
4. მომსახურებების უწყვეტობის და მდგრადობის უზრუნველყოფა;
5. ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება არასრულწლოვანთა მართმსაჯულებაზე და მხარდაჭერის მოპოვება განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე მოზარდების სტიგმატიზაციის თავიდან ასარიდებლად და რეინტეგრაციის ხელშესაწყობად.

## ბიბლიოგრაფია

1. The Youth Criminal Justice Act: Summary and Background, Department of Justice Canada, represented by the Minister of Justice and Attorney General of Canada, 2013
2. Mary K. Allen and Tamy Superle, Youth crime in Canada, 2014
3. Chronic/Persistent Youth Offenders in Canada: Summary Report <https://www.publicsafety.gc.ca/cnt/rsrscs/pblctns/prstnt-ffndrs/index-en.aspx#t5> –
4. Correctional Services Offender Programs and Services [https://www.mcscs.jus.gov.on.ca/english/corr\\_serv/OffenderPrograms-Services/offender\\_programs.html](https://www.mcscs.jus.gov.on.ca/english/corr_serv/OffenderPrograms-Services/offender_programs.html)
5. Youth Justice Services Funding Program (YJSFP) <https://www.justice.gc.ca/eng/fund-fina/cj-jp/yj-jj/sum-som/r12.html>
6. Early Intervention for Youth Program <https://www.justice.gc.ca/eng/fund-fina/gov-gouv/yjsfp-pfsjj.html>
7. Lee A. Underwood, Aryssa Washington, Mental Illness and Juvenile Offenders, 2016. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4772248/>
8. Susan Young, Ben Greer, and Richard Church, Juvenile delinquency, welfare, justice and therapeutic interventions: a global perspective
9. Child Delinquents: Development, Intervention, and Service Needs Edited by: Rolf Loeber & David P. Farrington 2001
10. ჩაფიძე ნ., ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017.
11. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, მერიდიანი, 2016.
12. ქელბაქიანი ა., ცაგარელი ნ., ტურაზაშვილი გ., არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.
13. საქართველოს კანონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
14. საქართველოს კანონი, პატიმრობის კოდექსი.
15. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, 2018 წლის ანგარიში, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, თბილისი, 2018 წელი.



